№ 114 **სახალხო გაზეთი** № 114

ხუთშაბათი, 23 სექტემბერი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა. წელიწ. პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

## სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

## სურათებიანი დამატება

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური
დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. (ამ) ხნის საათის შემდეგ მეტი ეღირება.

**** ხელის მომწერთა საყურადღებოდ ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

კნეინა პელაგია, კნიაჟნები თეოდორინა და ანნა ნაკაშიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

### თავ. ისიხი დიმიტრის ძის ნაკაშიძის

გარდაცვალებას. პირველი—ქვირფას მეუღლისას, მეორე—მამისას და მესამე—ძმისას. დასაფლავება ქ. იზურგეთში 25 სექტემბერს. (2—85—1)

კნეინა დარია ლევანის ასული ანდრონიკოვისა და ასულნი მისნი: ეკატერინა ალექსანდრეს ასული თარხან მოურავისა და ელენე ალექსანდრეს ასული ბებუთოვისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ შვილი პირველისა და ძმა მეორეებისა როტმისტრი გვარდიისა

### თ. გიორგი ალექსანდრეს ძე ანდრონიკოვი

უბედური მსხვერპლი შეიქმნა ავაზაკთა გუნდისაგან ნაზრაანის ოლქში. პანაშვიდი გადახდილ იქმნება ქაშვეთის წ. გიორგის ეკლესიაში 23 სექტემბერს 1 საათზე. დრო დასაფლავებისა ცალკე გამოცხადდება. (1—84—1)

საზოგადოების წევრთა და განსაკუთრებით კახელ მევენახეთა

## საყურადღებოდ

ამით აცხადებს, რომ „კახეთის“ საზოგადოების საქმეების გაუკეთესების გამო მას საშუალება აქვს კახურ ღვინის მთელი მოსავალი მოიმხმაროს ... დაუხმარებლივ.

საზოგადოების წესდების მე-§ § 4 და თანახმად, მიღებულ ღვინოში პაიონს მიეცემა პირველად ღირებულობის მესამედი, შემდეგაც ორი-მესამედი ორჯერობაზე დაუბრკოლებლად საოპერაციო წლის განმავლობაში. გამგეობა იმედოვნებს, რომ ღვინის მწარმოებელნი აიკილებენ ჩარჩ მოვაჭრეებს თავიანთ და სასარგებლოდ და საერთო საქმის გასაძლიერებლად. (10—65—6)

## ქაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.
მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1½—2½ ს.
ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.
... ყოველ დღე 12—1 ს.
ტერ-ნიკოღოსოვი ... გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½—12½ საათ.
ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ. ნ. 445)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიის ქუჩა, სახლი № 7. „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.
გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.
გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.
კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
მაღლაკელიძე გ. გ. შინ., სამშ. და საბ. 10—12 ს.
... ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.
მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 12—2 ნახ. ს.
მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.
სოხოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცი. კონსილიუმი, ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—6.—284)

პროვინციაში გაზეთების გამგზავნი

## ბიურო

პირველ სექტემბრიდან შესდგა გაზეთების საგანგებო ბიურო, რომელშიაც შედიან გაზეთები: „სახალხო გაზეთი“, „საქმე“, „ზაკავკაზია“, „ნოვოია რეჩი“ და ჟურნალები „მათრახი და სალამური“, „ერი“ და „თეატრი და ცხოვრება“. ბიუროს მიზანია პროვინციაში ჟურნალ-გაზეთების გავრცელება. აგენტებს **მხოლოდ** ამ ბიუროსაგან შეუძლიანთ დაკვეთა ჟურნალ-გაზეთებისა. ბიუროს გამგეთ არჩეულია ერასტი დავითის ძე გორდელაძე, რომლის სახელზედაც უნდა იგზავნებოდეს, როგორც წერილები, აგრეთვე ფული შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Эриванская площадь д. Гургенова, общій входъ съ нотаріусомъ Мгебровымъ. Эрастію Давидовичу Горделадзе.

## საჭიროა აგენტი

პროვინციაში გაზეთების გამავრცელებელ ბიუროსათვის **ძლიერ საჩქაროდ.** საჭიროა გაზეთების გამყიდველი აგენტი შემდეგ ადგილებში: ჩოხატაურში, ხონში, ზუგდიდში, ახალ-სენაკში, ელისავეტპოლში (განჯა), და ყარსში. წინ და წინ საჭიროა ორი კვირის გაზეთების საფასური ფული. მიმართვა და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ Эриванская площадь, д. Гургенова, общій входъ съ нотаріусомъ Мгебрымъ, Эрасту Давидовичу Горделадзе.

ქ. ქუთაისში
თ. მთავრიშვილისა და ამხანაგობის

## წიგნის მაღაზიაში

დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები.

სახალხო სასწავლებლებს, სახალხო ბიბლიოთეკებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10 პროცენტი. ყდაზე გადახდებათ თითო შაური.

ვინც ფასდადებით გამოიწერს, მან ბეჯი უნდა გამოგზავნოს. აქვე იმყოფება უმთავრესი საწყობი შემდეგი წიგნებისა:

1. გუთანი, ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი, შედგენილი ქუთ. ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების მიერ. . . . . . . ფასი 80 კ.
2. ქართული გრამატიკა ს. ხუნდაძისა, . . . . . . . „ 50 „
3. ქართული წერის დედანი, ს. დათეშიძისა, . . . . . . „ 20 „
3. ბატონ-ყმობა საქართველოში, ალ. ხახანაშვილისა, . . . . „ 50 „
5. საქართველოს ისტორია ს. ქვარიანისა, . . . . . . „ 25 „
6. ელისო, მოთხრობა ალ. ყაზბეგისა, . . . . . . „ 10 „
7. დედა-ენის ზოგიერთი სიტყვების განმარტება, პ. ჭარაიასი. . „ 15 „

(25—6.—24)

ქართული წიგნების გამომცემელი
**მიხეილ ნემსაძე**
დრო-გამოშვებითა და პატარ-პატარა ტომებად გამოსცემს

## ა. შანშიაშვილის თხზულებათ.

გამოცემა იქნება მშვენიერ ქაღალდზე და სუფთად დაბეჭდილი. ამის შემდეგ გამოსცემს სხვა მწერალთა ნაწარმოებთაც. პირველი გამოვა ამ თვის პირველ რიცხვებში. (5—ფ.—2)

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო
**მიხეილ გედევანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოროდნოვის ქ. 20. (0—6.—50)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გიროხნის ქ. № 9. (ფ)

**ექიმი** გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზ. ც...). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ხალ.—36)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4. სახლი ... (ფ)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე
იზმაილოვის ქუჩაზე N 2. **გადავიდა** იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (ფ)

**ექიმი** მ. ს. არჯევანიძე
ქუთაისში.
იღებს შინაგან და დედათა სენით ავადმყოფებს, ყოველ დღე კვირა უქმის გარდა, დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 6—7 საათ. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოგიელოვისა. (25—9—13)

**ექიმი**
**ტყეშელაშვილი**
ქუთაისიდან
გაემგზავრა საზღვარ-გარედ რის გამო ავადმყოფებს აღარ მიიღებს. (5—80—4)

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის. კაიეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი** ე. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფ. ...). (0—221)

ქ. შ. წ.-კით. ს მაღაზიაში იყიდება ახალი წიგნი
**ეპისკოპოსის კირიონისა**
„კულტურული გავლენა ივერიისა რუსეთის ისტორიაზე“
ფასი 3 მან. (10—64—6)

## წიგნების

იაფად გაყიდვა

15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე დანიშნულია დაკლებულ ფასად წიგნების გაყიდვა:

1. სურამის ციხე“, მეხუთე ახალი გამოცემა მშვენიერად 100 ც. . 10 მ.
2. არსენას ლექსი, ფერადი სურათებით 100 ც. . . . . 1 20 კ.
3. „ვეფხის ტყაოსანი“, მეოცე ახალი და სურათებიანი გამოცემა 100 ც. . . . . . . 30 „
4. „დონკიხოტი“, დასურათებული მშვენიერს ყდაში . . . 1 „
5. დიდი „ვეფხვის ტყაოსანი“, კარგს ქაღალდზე ფერადი წამლებით დაბეჭ. მშვენ. ყდით 1 „ 50 „
6. ა. ყაზბეგის სრული თხზულება, ბიოგრაფიით, სურათ. და მშვენიერს მკვრივ ყდაში . 3 „ 50 „
7. ე. ნინოშვილის სრული თხზ. მშვენიერს ყდაში . . . 1 „ 50 „
8. „ჯალატი“, მრავალი სურათ. და ავტორ. სურათ მშვ. ყდაში 80 „
9. სამზარეულო, სრული მშვ. ყდ 1 „ 50 „
10. ქვეყნისთვის და მეცნიერებისთვის თავდადებულნი და ტანჯულნი, მრავალ სურათებით და კარგ ყდით . . . . 1 „
11. ავქსენტი ცაგარლის თხზ. I და II ტ. . . . . . . . 80 „
12. „საქართველოს გეოგრაფია“, ვახუშტისა, სურ. და საქარ. ქარტით, მშვენიერს ყდით . 1 „
13. „გლეხი-კაცის ისტორია“, ერკმან-შატრიანისა, მშვ. ყდით 1 „ 60 „
14. „გლეხი კაცი“, გერმანულიდან ი. პოლუმორდვინოვის თარ. 60 „

და სხვა მრავალი წიგნები. ვისაც უნდა ბიბლიოთეკა - სამკითხველოებისთვისაც ვკისრულობთ ძლიერ იაფად მოვუკრიბოთ მთელი ქართული წიგნები.

ადრესი: ტფილისი, მიხაილოვის ქ. N 3. გ. თავართქილაძეს. (6—6—4)

## ტფილისი, 23 სექტემბერი

მოსკოვში არსებობს, სხვათა შორის, რუსეთის ხალხთა გაერთიანების საზოგადოება. აი, ამ საზოგადოების განყოფილება ჰსურთ ჩვენებურ მოღვაწეებს დაარსონ ტფილისში. გაზ. „ზაკავკაზიის“ ფურცლებზე ამას წინად გამოითქვა აზრი, უმჯობესი იქნება განყოფილებას თავი დავანებოთ და ამავე მიზნით კავკასიის მცოდნე პირთაგან საკუთარი საზოგადოება დავაარსოთო. თვით საზოგადოების დაარსება არსებითად გადაწყვეტილად ითვლება, იმის საჭიროება და სარგებლობა თითქოს ეჭვს გარეშე მიაჩნიათ, კამათობენ მხოლოდ იმაზე, ეს განზრახული საზოგადოება მოსკოვის საზოგადოების განყოფილება იყოს თუ დამოუკიდებელი ადგილობრივი ორგანიზაციაო. ამაზე ჰქონდათ კამათი ტფილისის საზოგადოებრივ კლუბში 18 სექტემბერს თავ. გ. თუმანოვის თავმჯდომარეობით.

ჩვენ იმ იღბლიან ადამიანებს არ ვეკუთვნით, რომელთაც ჰგონიათ, ხალხთა სოლიდარობას ამტკიცებდეს გაერთიანების პრინციპზე აგებული ყოველი ორგანიზაცია, და ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია, პრინციპიალურად შევხედოთ საგანს.

გაერთიანების პრინციპი ცოტა ორაზროვანი სიტყვაა. გაერთიანება შეიძლება გავიგოთ უნიტარულად და ფედერალურად. უნიტარული გაერთიანება ჰგულისხმობს გასაერთიანებელ ელემენტების გადაქცევას გაერთიანებულ ერთეულად ე. ი. ამ ელემენტების გათქვეფას და მათ მიერ ინდივიდუალობის დაკარგვას სხვა რამ ერთეულში. ფედერალური გაერთიანება ჰგულისხმობს პირიქით გასაერთიანებელ ელემენტების საურთიერთო დამოკიდებულების ორგანიზაციას. ხალხთა უნიტარული გაერთიანება მოასწავებს ამ ხალხთა ინდივიდუალობის დაკარგვას და ერთ ხალხად გადაქცევას; ხალხთა ფედერალური გაერთიანება პირიქით ნიშნავს ხალხთა ინდივიდუალობის გაცნობიერებას და ურთიერთობის ფორმათა დამყარებას. უნიტარული გაერთიანება მისწრაფვის ეროვნულ ინდივიდუალობათა მოსპობისაკენ, ფედერალური გაერთიანება ამ ინდივიდუალობათა დამოკიდებულების მოწესრიგებისაკენ.

როგორც მკითხველი ჰხედავს, გაერთიანება სხვა და სხვა ნაირი შეიძლება იყოს; ამიტომ ის, რაც გაერთიანების სახელით გამოაქვთ საზოგადო ცხოვრების მოედანზე, ზოგჯერ მისაწონია და ზოგჯერ დასაწუნი. ხალხთა უნიტარულ გაერთიანების დასაბამი ეროვნულ ინდივიდუალობათა აღმოფხვრისაკენ; ხალხთა ფედერალურ გაერთიანების წყაროს კი ამ ინდივიდუალობათა დაცვის სურვილი შეადგენს. პირველის ნიადაგია ყველა ეროვნებათა სიძულვილი ერთის გარდა, რომელშიაც განზრახულია გაითქვიფონ ყველა სხვა ეროვნება; მეორეს ნიადაგია ყველა ეროვნებათა მიჩნევა თანაბარ ღირებულებად; პირველი—ნაყოფია ვიწრო ნაციონალისტურ სულისკვეთებისა, მეორე—ფართო ინტერნაციონალურ განწყობილებისა.

პრინციპიალურად ამ ორ გაერთიანების შუა დიდი განსხვავებაა, მაგრამ ხშირად ნაციონალისტური გაერთიანება ინტერნაციონალიზმის სახელით საღდება. საზოგადო მოღვაწეებმა ყოველთვის უნდა გაუწიონ ანგარიში ამ სიყალბეს, რომელიც ზოგჯერ შეგნებულია, ხოლო უფრო ხშირად კი შეუგნებელი. ჩვენის ღრმა რწმენით მოსკოვის ხალხთა გაერთიანების საზოგადოება ამიერ კავკასიაში მხოლოდ ნაციონალისტურ ფუნქციებს აასრულებს, თუმცა შესაძლებელია, ამ საზოგადოების კავკასიელი დამცველები ბ. ბ. თუმანოვი, თოფჩიბაშევი და სხვები ამ საქმეში დაინტერესებულნი იყვნენ ინტერნაციონალისმით და არა ნაციონალიზმით.

იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ ხალხთა გაერთიანების საზოგადოება ვიწრო ნაციონალისტურ მიზანს, სახელდობრ რუსიფიკაციას ემსახურება, დავაკვირდეთ ამ საზოგადოების პროგრამას.

პროგრამით ხალხთა გაერთიანების საზოგადოების მიზანი ორ ნაწილად გაიყოფება: 1. ხელის შეწყობა საერთო სახელმწიფოებრივ შეცნობის გავრცელებისთვის. 2. შემუშავება თითოეულ ხალხის მიმდინარე ცხოვრების მორიგ საკითხებისა. თითოეულ მიზნის განსახორციელებლად პროგრამა ცალკე ჩამოსთვლის მოქმედების ფორმებს. საერთო სახელმწიფოებრივ შეცნობის ანუ შეგნების გავრცელებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამ საქმეს არავითარი კავშირი არა აქვს ინტერნაციონალისმთან. როგორც ვიცით, ამ მიზანს ემსახურებიან რუსეთის უკიდურეს მემარჯვენეთა ორგანიზაციებიც, რომელნიც მხოლოდ და მარტო ნაციონალისტურ აზრებით სუნთქავენ. რაც შეეხება მეორე მიზანს, მართალი უნდა ვთქვათ, რომ არც ერთ ხალხისთვის არ არის ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისით საჭირო იმისი მიმდინარე საკითხები სხვებმა დაამუშავონ. ყველა ხალხი თითონ გაუძღვება და თითონ შეიმუშავებს თავის საკითხებს სხვა ხალხთა დაუხმარებლივ; ინტერნაციონალიზმი საჭიროა არა იმისთვის, რომ ერთი ერის საკითხები თავს მოეხვიოს ყველა სხვა ერებს, არამედ სწორედ იმისთვის, რომ უზრუნველ ჰყოს ყოველი ერი, თითონ გაუძღვეს თავის საკუთარ საქმეებს. ინტერნაციონალიზმი მოითხოვს არა თითოეულ ხალხის საკუთარ საკითხების გადაქცევას ყველა ერებისთვის თავსამტვრევ საკითხებად, არამედ მხოლოდ იმ გზებით სიარულს, რომლებიც საერთო მიზნისკენ წაიყვანენ სხვა და სხვა ერებს.

ერთ-ერთი მოსარჩლე ხალხთა გაერთიანებისა ბ-ნი თოფჩიბაშევი სხვათა შორის სწერდა, პირველი საქმე ასეთ საზოგადოების კავკასიურ განყოფილებისა, თუ ეს უკანასკნელი გაიხსნა, ის იქნება, რომ მიიღოს თავის განკარგულებაში ტფილისში თავ. გ. თუმანოვის მეცადინეობით უკვე მოწყობილი უმაღლესი კურსებიო. ბ-ნი თოფჩიბაშევი სიმართლეს ამბობს, სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ამ კურსებზე მარტო ოდენ რუსულად შეიძლება ლექციების კითხვა. იმ კრებაზედაც კი, რომელიც თ. თუმანოვის თავმჯდომარეობით ხალხთა სოლიდარობის განსავითარებლად მოსკოვურ საზოგადოების განყოფილების დაარსებაზე მსჯელობდა, მხოლოდ რუსული ენა ისმოდა...

ხალხთა გაერთიანების საზოგადოება ერთი იმ მრავალ ორგანიზაციათაგანია, რომელიც სიტყვით ყველა ეროვნებათა თანასწორ უფლებიანობას აღიარებს, საქმით კი შეგნებულად თუ შეუგნებლივ გარუსების პოლიტიკას ეწევა.

## სარკე

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ფინლანდიის სეიმმა უარჰყო რუსეთის მთავრობისაგან შედგენილი და რუსის ხალხთა წარმომადგენელთაგან მოწონებული „კანონპროექტი ფინლანდიის შესახებ“ და დაადგინა უბრალო წერილით შეატყობინოს ეს ამბავი „ვისაც ჯერ არს“.

ფინლანდიის სეიმს ასეთი საქციელი, რასაკვირველია, არ მოეწონათ მემარჯვენეთ და ახლა დღემუდამ იმის ფიქრში არიან, თუ რა უწოდონ ასეთ საქციელს და ან როგორ გაუმასპინძლდნენ ფინლანდიის სეიმს ამ გვარის „თავხედობისათვის“.

გაზეთი „ზემშჩინა“ ურჩევს მთავრობას ყურადღებას ნუ მიაქცევთ ფინლანდიის სეიმის გადაწყვეტილებას და ზიზღით გვერდი აუარეთო.

სეიმის დათხოვნა და ახალის მოწვევა—სრული უაზრობა იქნება, ვინაიდან ახალი სეიმი ახალს არას იტყვის, პირიქით ახალი არჩევნები საშუალებას მისცემს პოლიტიკოსს არამზადებსა და ჯამბაზებს—როგორნიც არიან მიხელსონი, სვინხუვუდი და ძმანი მათნი—კვლავ აახალონ და აამღვრიონ ის ხალხი,

რომელიც არავითარ მონაწილეობას არ იღებს პოლიტიკურ ავანტიურაში.

რასაკვირველია, არც ის არის ხელსაყრელი, რომ სეიმის წევრნი ისევ განაგრძობდნენ „მოღვაწეობას“ და ხალხის ფულსა სჭამდნენ. ეს ხომ მათი წათამამება იქნება? სეიმი მასხარად იგდებს რუსის მთავრობას და განა ამ მთავრობამ ნება უნდა მისცეს მას ხალხის ფულებით იცხოვროს?

რადგანაც სეიმმა თავისი საქმე უკვე შეასრულა, ჭკუითა თუ უჭკუოდ, ყველაზე კარგი ის იქნება, რომ მთავრობამ სეიმი დახუროს და მისი უქვეშევრდომილესი მოხსენება კი კანონ-პროექტს ჩააკეროსო.

ასეთის ვითომდა ცულ-კრილობით იხსენიებს ფინლანდიის სეიმს გაზეთი „ზემშჩინა“.

სამაგიეროდ პირიდან ცეცხლსა ჰყრის შავრაზმელთა მეორე გაზეთი „რუსკაია ზნამია“ და ურჩევს მთავრობას—ფინლადიის სეიმს „რუსულად“ ვაუსწორდიო.

„სახელმწიფო ღერბზე მოცხებული ლაქა სტამბის მელნით არ ჩამოირეცხება. დრო არის შეურაცყოფილი პატიოსნება რუსეთისა განბანილ იქმნეს ფინლანდიის წყალით მაინც... ვიდრე სავსებით არ განიბანება ოკეანეს ტალღათა შორის...

ფინლანდიის სეიმი კი არ უნდა დაითხოვონ, უნდა გარეკონ, გარეკონ სირცხვილეულად, თავს-ლაფის დასხმით. მათ გასარეკად უნდილი და მეტად თავაზიანი დიპლომატები კი არ უნდა გაიგზავნონ, ის დიპლომატები, რომელნიც ასე ზრდილობიანად ექცევიან ყველა ჯურის მოამბოხეს, არამედ მათ გასარეკად უნდა გაიგზავნოს ერთი ასეული ზორბა და მხარ-ბეჭიანი რუსი-ყაზახებისა, მსხვილი მათრახებით ხელში და ჯეროვან პასუხს ნამდვილ, და წმინდა რუსულ პასუხს მარტო ესენი გასცემენ“-ო.

კარგი საშუალებაა?!...

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 სექტემბერი.

## საზღვარ-გარედ

**ვენა.** „კორესპონდენტ-ბიურო“ იუწყება, რომ ჩხრეკის დროს, კრაკოვს ახლოს, იპოვნეს ბევრი საბუთის ქაღალდი და იარაღი. დააპატიმრეს 14 კაცი, პოლონელები. 9 მათგანი სამართალში მისცეს, 4—გაანთავისუფლეს. გაზეთის ის ცნობანი, ვითომც ჩვენების ჩამორთმევის დროს საგენერალო შტაბის ოფიცერიც დაესწროო, სიმართლეს მოკლებულია.

**პანამა.** გარაჩინში, გემის „ჩირივის“ ქვაბის აფეთქების გამო, გემი დაიძირა, ამბობენ 50 კაცი დაიღუპაო.

**ჰამბურგი.** სამადნო ქარხნების პატრონებმა ცოტა რამ დაუთმეს მუშებს. მათ პასუხზეა ლოკაუტის გამოცხადების გადაწყვეტა, მუშები პასუხს ხვალ მისცემენ.

**ვენეცია.** ტარნოვსკის ცოლის საქმის გამო დასჯილმა ნაუმოვმა სასჯელი უკვე მოიხადა და თავის მამასთან ერთად რუსეთს გაემგზავრა.

**მელბურნი.** ვიქტორის შტატის სასამართლომ შესცვალა მდაბალ ინსტანციის განაჩენი 18 მაისისა, რომლითაც რუსის კაპიტანს ვარავას 5000 გირვანქა სტერლინგი ჰქონდა გადაწყვეტილი უკანონოდ დაპატიმრებისა გამო. მას ბრალდებოდა რუსეთ-იაპონიის ომის დროს გემის „პერეგრინის“ გაყიდვა.

**მუკდენი.** ტილუში დაპატიმრებული იაპონელები გადასცეს იაპონიის საელჩოს მოხელეს. იაპონიის პრესსა მანჯურიაში გულ მოსულია და თხოულობს ჩინეთზე პასუხი აგოს.

**ლეიპციგი.** ნაფიცთა სასამართლომ გაამართლა ქარხნის დირექტორი კოლინიუზბერგიდან, რომელმაც გასულ მარტს რევოლვერით დასჭრა რესტორანში გაფიცვის დროს სტუდენტი ციმმერმანი პეტერბურგიდან. კოლი ამტკიცებდა, რომ ისროლა თავის დაცვისათვისო.

**ჰამბურგი.** მუშებსა და ნავთ საამშენებლოს პატრონთ შორის მოლაპარაკებამ უშედეგოდ ჩაიარა. მოსალოდნელია ლოკაუტი დაახლოვებით ნახევარ მილიონ მომუშავეთა.

## რ უ ს ე თ ი

**პეტერბურგი.** მოხელის შვილმა ვლასოვმა დედ-მამის შინ არ ყოფნის დროს ცულით დაჩეხა საკუთარი ძმა და თავის დამხმარე ამხანაგითურთ გაიქცა.

**კიევი.** საქალაქო სკოლებში გაიხსნა პარალელი კლასები სკოლის გარედ დარჩენილი 1200 ბავშვის მისაღებად.

**ჰელსინგფორსი.** გენერალ-გუბერნატორმა უბრძანა საბაჟოს გამგეობას, დააკავონ და სამხედრო მოხელეთ გადასცენ შემოტანილი ალკრძალული იარაღი.

ვაჭრობის სამინისტროს შეაქვს მინისტრთა საბჭოში კანონ პროექტი ეკატერინოსლავის სამთო სასწავლებლის სამთო ინსტიტუტად გადაკეთების შესახებ.

**მოსკოვი.** აღმოაჩინეს სოციალ-დემოკრატთა საიდუმლო კრება. შეიპყრეს 15 კაცი.

სერპუხოვის გიმნაზიის მოსწავლეს ბუდინს მასწავლებლის საფრონოვის მოკვლისა გამო სამხედრო სასამართლომ 10 წლის კატორგა გადაუწყვიტა. სასამართლო შუამდგომლობს სასჯელი შეუმსუბუქონ.

**ვარშავა** ტრამვაის მოსამსახურეთ გაფიცვა შესწყვიტეს. გამგეობა დაჰპირდა შრომის პირობათა გაუმჯობესებულ მოთხოვნილებათა განხილვას.

**ხერსონი.** სათათბიროს წევრობას თავდადებულ ვოლოხინის ნაცვლად არჩეულ იქმნა ანანიევის ქალაქის მოურავი კონიახნიჩი, მაღალგანათლებული, ოქტომბრისტი.

## ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** ამ კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა ვოლოგდის გუბერნიაში 14, გარდაიცვალა 7, ორენბურგში ავად გახდა 10, გარდაიცვალა 3, ამავე გუბერნიაში ავად გახდა 166, გარდაიცვალა 108.

ხოლერით ავად გახდა 19, სიკვდილის შემთხვევა არ ყოფილა. ავად არის 359.

**სევასტოპოლი.** ხოლერით ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1.

# ახალი ამბები

## ტ ფ ი ლ ი ს ი

**ილიას ძეგლი.** ილიას ძეგლი ჯერ კიდევ ბათუმის საბაჟოშია. ძეგლის შემოსატანი ბაჟი სულ 300 მანეთამდეა, რომელსაც ამ დღეებში შეიტანს ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი სიზოგადოების მთავარი გამგეობა. გამგეობას აზრად აქვს ეს ძეგლი ილიას საფლავს მომავალს გაზაფხულზე დაადგას.

**ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს სტიპენდიები.** ამ საბჭოს უკვე გაუნაწილებია სტიპენდიები. სხვათა შორის, თვეში ხუთ-ხუთი თუმანი დაუნიშნავს ცნობილ ქართველ მემუსიკე კ. გ. ფოცხვერაშვილისთვის მუსიკალურ განათლების გასაგრძელებლად და ლექტორ ვ. რ. რობაქიძისთვის, რომელიც სტუდენტად შედის პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე.

**რედაქტორის საქმე** 21 სექტემბერს ტფილისის სასამართლო პალატამ ხალხის დაუსწრებლად გაარჩია საქმე ქართულ ყოველდღიურ გაზეთის „ჩვენი გაზეთი“-ს ზოსიმე ტყეშელაშვილის საქმე. ბრალს სდებდნენ სისხლის სამართლის სასჯელთა მე-129 მუხლის ძალით. სასამართლომ ტყეშელაშვილს ერთი წლით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა.

**ტფ. ქართულს გიმნაზიაში.** როგორც გადმოგვცეს, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს აზრად აქვს ამ დღეებში კვლავ გახსნას ამას წინად დახურული მეშვიდე კლასი ქართულ გიმნაზიისა

**ფრენა** ტფილისში მოწვეულია რუსის ავიატორი კუზნეცოვი, რომელიც ამ ჟამად ტაგანროგში იმყოფება. კუზნეცოვი თან მოიტანს ფარმანის ჰაეროპლანს.

**ხოლერა.** პოლიციის ცნობით, 21 სექტემბერს ტფილისში ხოლერით არავინ გამხდარა ავად.

**ხოლერიანთა რიცხვი ტფილისში.** სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 21 სექტემბრის დილის 9 საათიდან 22 სექტემბრის დილის 9 საათამდე ხოლერით ავად არავინ გამხდარა. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო 4 ავადმყოფი, მორჩა და გამოვიდა—1, დარჩა—3.

**უპასპორტონი.** 21 სექტემბერს საერთო ჩხრეკა დაპატიმრების დროს ტფილისში პოლიციამ შეიპყრო 55 უპასპორტო.

**ტფ. ქალაქის საფინანსო კომისიაში.** 21 სექტემბერს მოჰხდა საფინანსო კომისიის წევრთა კრება. კრებამ პირველად მოისმინა და დაამტკიცა ტფ. ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა კასის წევრთა დადგენილებანი იმის შესახებ, რომ აღძრულ იქნეს შუამდგომლობა კასის წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლის შესახებ. ამის შემდეგ კრებამ განიხილა ქალაქის გამგეობის მოხსენება. გამგეობა თხოულობდა ქალაქის სავაჭრო სამეურნეო პოლიციის აგენტებს პროცენტები მიეცეთ ქალაქის სასარგებლოდ აკრეფილ გადასახადებიდანო. ამ გამგეობის ეს მოხსენება უარჰყო.

**ყაჩაღი ზელიმხანი.** დღემდე არა ისმოდა რა ცნობილ ყაჩაღის ზელიმხანის დაჭერას, რომელიც კარგა ხანია დაღესტანის ოლქში დათარეშობს და დიდსა და პატარას შიშის ზარსა სცემს. როგორც კავკავიდან მიღებული დეპეშა გადმოგვცემს, 20 სექტემბერს ნაზრანის ოლქში, მთებში, ზელიმხანის ბინას შემოერტყმია ყაზახ-რუსთა და ჩაფართა მფრინავი რაზმი, რომელსაც უფროსობდა გიორგი ალექსანდრეს ძე თავ. ანდრონიკაშვილი. რაზმს შეუპყრია ზელიმხანის ორი ცოლი და შვილი, ხოლო თვით ზელიმხანს მოუსწრია ფარულ კარებიდან გაპარვა. როცა რაზმი, დატყვევებულებით უკან დაბრუნებულა, ზელიმხანი ჩასაფრებია თავისის ამხანაგებით ერთ ვიწრო ადგილას და საშინელი სროლა აუტეხნია. პირველისავე ტყვიით ზელიმხანს მოუკლავს რაზმის უფროსი თავ. ანდრონიკაშვილი, შემდეგ სამი აფიცერი, ჩაფრები და მიმალულა.

**ხოლერა ამიერ კავკასიაში.** ტფ. გუბერნიაში; 5 დან 14 სექტემბრამდე ავად გახდა—7, გარდაიცვალა—6. ყარსში: 20 სექტემბერს ავად გახდა—2, გარდაიცვალა—1. ბაქოს საგრადონაჩალნიკოში: 16 სექტემბერს ავად გახდა—1, გარდაიცვალა—1.

**სანატორია აბასთუმანში.** მომავალ გაზაფხულზე აბასთუმნის მახლობლად, ეგრედ წოდებულ „აროზინდაში“ შეუდგებიან ჭლექით ავადმყოფთა სანატორიის შენობის აგებას. აბასთუმნიდან აროზინდამდე გაყვანილი იქნება გზა, აგრეთვე წყალი. გზის გაყვანის პროექტი უკვე შედგენილია.

**ნამესტნიკის ჩამოსვლა.** გაზეთების ცნობით, კავკასიის ნამესტნიკი რუსეთიდან კავკასიაში გამოემგზავრება 1 ოქტომბერს და ტფილისში ჩამოვა 5 ოქტომბერს.

**ფრენა.** მოკლე ხანში ტფილისში ჩამოვა ცნობილი ავიატორი უტოჩკინი, რომელიც ა. ა. ეიხენვალდმა მოიწვია. უტოჩკინი 10 ოქტომბერს აფრინდება დიდუბის მოედანზე.

**იაფფასიანი სამკურნალო წიგნაკები.** დღეს კრება ექმნება ტფ. სამკურნალო საზოგადოების საგანგებო კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს იაფფასიან, სამკურნალო წიგნაკების შედგენა ხალხში გასავრცელებლად.

**პოლიტიკური საქმე.** 21 სექტემბერს სასამართლო პალატამ გაარჩია საქმე შონე, გიორგი და კოტე ყულუმბეგაშვილებისა, რომელთაც მთავრობის საწინააღმდეგო ორგანიზაციის წევრობა ბრალდებოდათ პალატამ ბრალდებულთ რვა-რვა თვით ციხეში დაპატიმრება გადაუწყვიტა. მათ ჩაეთვლებათ ის 6 თვე, რომლის განმავლობაშიც ისინი ციხეში ისხდნენ საქმის გარჩევამდე.

**ქალთა უმაღლესი კურსები ტფილისში.** ლექციების სისტემატიური კითხვა ქალთა უმაღლეს კურსებზე დაიწყება 1 ოქტომბერს. ჯერ-ჯერობით ლექციების კითხვა დაიწყო მხოლოდ პირველ კურსზე.

ტფ. მაზრის უფროსის თანაშემწემ გომელაურმა თანამდებობას თავი დაანება. მის ადგილას დაინიშნა სიღნაღის მაზრის უფროსის თანაშემწე ვლოდზიმირსკი.

შვეიცარიის კონსულად ტფილისში დაინიშნა რუსეთის ქვეშევრდომი ინჟინერი თევდორე დრახენფელსი.

# მოწერილი ამბები

**ქიზიყი.** სექტემბრის ერთი კვირიდან ჩვენსკენ ყურძნის კრეფას შეუდგნენ. წელს, ქიზიყში ვერაფერი გულ-გასახარია. შარშანდელთან შედარებით ძრიელ ნაკლები მოსავალი იქნება ღვინისა, და რაც არის ვენახებ, ისიც, ათასგვარ წვრილ-ფეხა ხარბ-მოჯამაგირეთა წყალობით ხალის ფასად გაიყიდოს. ჯერ ეხლავე ნახევარ და მესამედ ფასებში ყიდულობენ ვენახს ვირებს ვ. ი. დუკრეფავ ვენახებს ნარდად იყვეთენ, ან და კოდთ ყურძენში, რომელიც სულ უკანასკნელი 13—14 ფუთი გამოვა, ექვს-შვიდ მანეთში იღებენ გაჭირვებულ გლეხისაგან.

გაჭირვება, თუ არის სადმე აბა ეხლა არის გაჭირვებული ქიზიყელი [illegible]. პური იმდენი არ მოუკიდათ, რომ ცოდვილი წლის ბოლომდის იოლად წაიყვანონ; სულადი მას სასულადო გაუხდება აუარებელი გადასახადები და ფოშტის ფული კი კარზედ არის მომდგარი. ისე დღე არ გავა, რომ ქიზიყელს ხარჯის ამკრეფი ასისთავით კარზე არ აეტუზოს და მექრთამე ფულის გადახდა არ მოსთხოვოს. გული აქვსთ მათგან გაწვრილებულ გაწყალებული და ამასთანა პირობებში ნაკლებადაც, რომ გაყიდონ ღვინო, ან ყურძენი, აბა რა სამტყუნარნი არიან...

ფოშტის ფული აუარებელი აწევთ ქიზიყელი, რადგან სახელმწიფო გადასახდები ადგილ-მამულის რაოდენობაზეა ნაანგარიშევი, მხოლოდ იმას კი არავინ კითხულობს ეს მამულები გამოსადეგნი არიან ქიზიყელთათვის სახნავ-სათესად ან საბალახედ, თუ უსარგებ-

# „კოლხიდის ელეგიები“

ძ ღ ვ ნ ა

ტურფა კოლხიდავ, ელლინთ მგოსნება
ღვთიურის ჩანგით ძველად გამკობდა,
შენსკენ მოჰქროდა მათი ოცნება
და შენი ხილვა ყველას ატკბობდა.
მათს სიმღერებში გამოთქმულია
შენი დიდება, მშვენიერება,
და მათთან ერთად მოხიბლულია
კიდითი-კიდე ქვეყნიერება.
მე შენს შვილსა-კი შენი მშვენება
გარსა მცხვია, ნათელსა მფენდა,
და განვლილ დღეთა შენთა ხსენება
შორს ოცნებითა გადამაფრენდა.
ყმაწვილსა თვალ-წინ მეხატებოდა
იაზონი და ელლინთ გმირები,
მედიას ამბავს მომიყვებოდა
სამღვთო ქალები და ნაპირები.
შევსტრფოდი შენსა არე-მარესა,
შენს წარმტაც სახეს ვაკვირდებოდი,
მაგრამ გხედავდი მგლოვიარესა
და თანაგრძნობით თავს გევლებოდი.
ვით შავ-ჩაცმული ყმაწვილი ქალი
ჰაეროვანის სილამაზისა
ცრემლს ღვრის, უფეთქავს მკერდი ფიქალი,
და თრთის, ირხევა, ვით რტო ვაზისა,—
ისე მოსჩანდი ბუმბერაზ მთათა
და შავს ზღვას შორის, დაობლებული,
და მეც გიმღერდი მწუხარე ხმათა,
შენს მომავალზე ჩაფიქრებული...

—

I. ნაქალაქევი.

1.

მწვანე გორაზე სდგას ძველი ციხე,
ნაღვლით მაღლიდან გადმომზირალი,
გარს ახვევია ხშირი ბუჩქნარი
და ძირს ტეხური უვლის მყვირალი.
ვუცქერ და ნათლად წარმომიდგება
ეს ქალაქი გამშვენებული,
როცა ესტუმრა ელლადის გმირი,
მის სანახავით გაოცებული.
მეფის სასახლის ფართე ეზოში
ამოსჩქეფავდა შადრევანები
და ზედ ჰფარავდა კამარა შეკვრით
ჩამოჩრდილული ხშირი ვაზები:
ერთიდან ღვინო მოსჩუხჩუხებდა,
მეორიდან რძე ტკბილ-სანეტარო,
მესამით ზეთი სუნნელოვანი
და მეოთხიდან ანკარა წყარო.
გმირს დაავიწყდა თვით არკადია,
ბედნიერი და სახელ-განთქმული,
და უცნობ ქვეყნის საწაულებში
მისი გონება იყო გართული.
განა ეს ყველა შეედრებოდა
მეფის ასულის მშვენიერებას?
ეგ თვით ულუმბოს ქალ-ღმერთს სჩრდილავდა,
თვით აფროდიტის ზეციერებას!
ფერხთ ჩაუვარდა ჭაბუკი გმირი
და თაყვანი სცა შემკრთალს ქალწულსა,
მოუთხრო თვისი გადასავალი
და ქალიც თრთოლვით უგდებდა ყურსა:

2.

„შენ თუ მიშველი, ჩემო ღვთაებავ,
თორემ რა მიზამს მარტო გმირობა,
შენმა მშობელმა აეტეს მეფემ
შეუძლებელი ბრძანა პირობა.
და უკეთუ ვერ აღვასრულებ,
დაგვხოცავს ყველას ხელმწიფე მძლავრი.
მე არ მაშინებს სიკვდილი, მხოლოდ
წამყვება თან ამ ძნელ საქმის ჯავრი.
უბედურება სდევნის ჩვენს გვარსა,
დავკარგეთ სამღვთო სამკვიდრებელი,
ძვირფასი განძი—ოქროს საწმისი,
ჩვენთვის მარადის სახსენებელი.
ჩემსა წინაპარს ათამას მეფეს
ჰყავდა ღვთიური ცოლი ნეფელა,
მისგან ეყოლა ორი ყმაწვილი,
ტურფა ქალ ვაჟი, ფრიქსოს და ჰელლა.
და როს შეირთო მის მაგიერად
სიკვდილის შვილი ხელმწიფის ქალი,
ფრიქსოსს და ჰელლას მუდამ სდევნიდა
ინო, ბოროტი დედინაცვალი,
მაშინ ნეფელამ გამოუგზავნა
თავის შვილებსა ობოლ-მწუხარეს
ოქროს მატყლოვან ფრთოვანი ვერძი
და გააფრინა შორეულ მხარეს.
ქალწული ზღვაში ჩამოუვარდა,
ვერ ასცდა სასტიკს ბედის წერასა,
მისთვის ჰქვიან ამ ზღვას ჰელლესპონტი
და მგზავრს აგონებს ბედკრულს ჰელლასა.
ფრიქსოსმა ჰაერს ბევრი იფრინა
და მოაღწია კოლხიდის მხარეს,
ვერძი შესწირა ღმერთებს, საწმისი
მოართვა მეფეს სტუმართ-მოყვარეს.
აეტეს მეფემ მამაშვილურად
მიიღო ის და ტკბო სული,
მისცა სახლ-კარი და შერთო ცოლად
მას ქალკიოფი, თვისი ასული.
ოქროს საწმისი აქ ჩამოჰკიდეს,
ვით ნატვრის თვალი, სამღვთო ქალასი.
მისი წაღება ან მოტაცება
არ შეუძლიან არა-რა ძალასა.
მის დარაჯად მდგომს ცეცხლის მფრქვევს ვეშაპს
ვინ გად ურჩება უვნებლადა,
ან უძლეველის აეტეს მეფის
აბჯროსან გმირთა ბრძოლას ველადა?
მთელის ელლადაში კიდითი-კიდე
ამბავი ესე მოდებულ იყო
და არა ერთის ვაჟკაცის გული
წამოსასვლელად აგზნებულ იყო.
ჩემი სიცოცხლე და სიჭაბუკე
ამ საქმისთვის მაქვს გადადებული,
ანუ წავიღო ოქროს საწმისი,
ან სულ არ მნახონ დაბრუნებული!
ჩემს გატაცებულს მოწოდებაზედ
შემოკრბნენ ერთად ელლინთ გმირები:
ჰერაკლე, პელე, კასტორ-პოლლუქსი
და თეზეოსი, ღმერთთა შვილები.
თვით ორთეოზი აპოლონის ძე
გვატკბობდა ციურ ხმებით ყველასა,
ჩვენი ხომალდი „არგო“ მოჰქროდა
და მოაპობდა პონტის ღელვასა.
ჩვენ ყველანივე ერთად გავწყდებით,
ანუ წავიღებთ საწმისს ძალითა.
აწ შენ მოგენდე, გინდა მაცოცხლე
და გინდა დამწვი ცეცხლის ალითა!“

3.

მედია სმენად გადაქცეული,
თან და თან უფრო იხიბლებოდა
და იაზონის გმირული სახე
გულში ხატივით ესვენებოდა.
ორ-გვარი გრძნობა მასში იბრძოდა:
სიყვარული და მოვალეობა,
ვით უღალატოს მამას, სამშობლოს,
ან ვით არ მისცეს გმირს შემწეობა?
სთხოვდნენ თვით მისი და, ქალკიოფი,
და დისწულები გმირის შველასა.
„მშვიდობით, ჩემო სამშობლოვ, მამავ,
ამიერიდან გძულდეთ ყველასა!“—
ამოიკვნესა ცხარე ცრემლებით
ქალმა და მისცა იაზონს გული.
მის გრძნეულ ბეჭდის ძალით საწმისი
იქმნა გმირისგან მოტაცებული...
არგონაველნი მიჰქროდნენ უკან
ელლადისაკენ გამარჯვებულნი,
მისანი ქალი თანა მიჰყავდათ
და „პეანს“ მღეროდნენ აღფრთოვანებულნი.
კოლხიდელთ გემნი ვერ მოეწივნენ
ჯადოსან არგოს მსუბუქ სრბოლასა,
მდევარ-რჩეულნი ეს ვაჟკაცნი
მოჰყვნენ ევქსინის ტალღათ ქროლასა....
აჟღერე ქნარი, ტკბილო ორთეოზ,
შეამკე ღირსად ღმერთთ სასწაული!—
მედიას ტრფობამ დააგვირგვინა
გამარჯვებულთა დღესასწაული.
აკვნესე ქნარი კოლხიდის ბედზე,
იგი მედიამ თან წარიტანა,
მოხუცი მამა სევდას გადაჰყვა
და მადლ-გამქრალი დარჩა ქვეყანა.

4.

წარვიდნენ დრონი... ეს ქალაქსა
კვლავ მოევლინა ღირსი მმართველი,
მოიხსენიებს იმას მადლობით,
ვიდრე არსებობს, ერი ქართველი.
მის დროსაც ბერძენთ სააპარეზოდ
გახდა კოლხიდა და იბერია,
სასტიკ აზონის ფლობის ქვეშ ხალხი
ითრგუნებოდა, ვითა მტვერია.
ერთგულმა ქუჯმა ფარნაოზთანა
აქ იწყო ბჭობა ქვეყნის მართვისა,
დაიძრა მამაც შეთქმულებითურთ
და იხსნა მცხეთა, დედა ქართლისა.
გავიდა ხანი... ახლა სულ სხვანი
გემებით გაჩნდნენ პონტის პირადა,
სტუმართ-მოყვარე კოლხიდელები
მათაც დაუხვდნენ გულ-გაშლილადა.
იდუმალ აზრით წარმოგზავნილნი
მთელის ლაშქარით მოადგებიან,
ვაი, მათ ერთი განძი არ ჰყოფნით,
მთელს ქვეყანაზე ბატონდებიან!
ოქროს და ვერცხლსა ვინ დაუჯერდა,
სხვა სიმდიდრეზეც მისცეს უფლება,
მაგრამ წარიღეს განძი ყველაზე
უძვირფასესი—თავისუფლება!...
ნორჩი მედია წრფელად მიენდო
ჭაბუკს იაზონს, მეტად უყვარდა,
და როს გაიგო მისი ღალატი,
სამაგიერო გადაუხადა,—
მწარედ დასჯილი დასტოვა კორინთს
და გამოფრინდა კოლხიდისაკენ,
ჭირ-ვარამნახდილმა გზა გაიკვლია
ახალ-სიცოცხლის სინათლისაკენ.
ვინ-ღა გადუხდის ღირსეულადა
ამ ხანგრძლივს სტუმრებს ღალატისათვის?
კოლხიდელებო! იქნება ჩუმად
იზრდება ძალა დიდ საქმისათვის?...
ქუჯის დარბაზი, ეს „ციხე-გოჯი“,
დღეს გულ-საკლავად გამოქცეულა,
და შემკობილი ეს ქალაქი
ნაქალაქევად გადაქცეულა!...

—

II „დედა-მიწა“.

მოსჩქეფს ტეხური წმინდა, ანკარა,
მზის სხივებისგან გაბრწყინვებული,
ტალღა-ტალღაზე გადაჰკამკამებს,
უცნაურს ხმაზედ ამღერებული.
მის ხმაურს ისმენს ფერდობზე ზრდილი,
ნამ-სხურებული მცენარეები,
და მდუმარებით დასჩერებია
მისი მებრძოლი სალი კლდეები.
მიჰქრი, მდინარევ, თვალ-შეუსწრებლად,
შეუპოვარად მთა-კლდეს ედები,
კიდეც მიტომ ხარ ასე ანკარა,
რომ წამიერაც აღარ ჩერდები!
მკურნავი წყარო, ვითა კოპწია
ქალწულის ხელი, გადაგხვევია,
სტკბება მაშვრალი ადამიანი,
სამკურნალოდ რომ მოგიწვევია.

დო ჭუჭყობს, ან ყოვლად უვარგის შორთქანს წარმოადგენს.

ამასაც კიდევ როგორმე მოევლებოდა რომ ქიზიყელნი ერთმანეთს არა ჭშრეტავდნენ და ხელს არ უშლიდნენ ერთმანეთს ხვნა თესვის დროს. საქმე ის არის, რომ რამდენსამე სოფლის საზოგადოებას ჯერ გაუყოფელი აქვსთ ერთმანეთში სახნავი მამულები. მაგ. ჯუგაანის სოფლის საზოგადოებას და ზემო-მაჩხაანის სოფლის საზოგადოებას. რახანია აქვსთ სურვილი, როგორმე ძმურად მორიგდნენ, მამულები დაიყონ, რათა მოისპოს მათ შორის დავიდარაბა და უთანხმოება, მაგრამ დღემდის ეს სურვილი სურვილადვე რჩებოდა. ამ ერთ კვირაში ამ ორ ზემოხსენებულ სოფლის საზოგადოებათ მოისურვეს ძმურად მორიგება, ჯუგაანელებმა და ტიბაანელებმა უკვე ამოირჩიეს რწმუნებულნი, რომელნიც მოარიგებენ შინაურულად, ძმურად ამ ორ სოფლის საზოგადოებას და ორსავე სოფლის სახნავ მამულზე შუაში გუთნის კვალს ჩაატარებენ.,.

ჩვენსკენ კვლავ ქურდობა-ავკაცობამ იჩინა თავი. ისეთი კვირა არ გავა რომ არ გავიგოთ მავანმა ცხენი დაკარგა, მავანმა კამეჩები. ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია მაგ. საქონელი მოჰპარეს ს. ქვემო-მაჩხაანელთ ალექსი გივიშვილს, ილია ფაშალიშვილს და თითილოკაშვილს, ს. ჯუგაანის მცხოვრებს მიხაკო ნარინდოშვილს მოჰპარეს ცხენი და სხვა. X

**სურამი.** 22 აგვისტოს აქ ჩვენთვის არა ჩვეულებრივი ამბავი მოჰხდა. ღამით, ადგილობრივ პარკში, როდესაც წარმოდგენა გათავდა უცბად დაიკარგა აქ საავარაყოდ მოსული ქუთაისელ ვაჭრის შვილი, ტფ. გიმნაზიის მოწაფე გრიშა ქამაროვი. არავინ იცოდა, თუ საქმე რაში იყო, მაგრამ ჩქარა გავრცელდა ხმა, ქამაროვი მოიტაცეს და მისს მამას შვილის გამოსახსნელად 60.000 მანეთს სთხოვენო. დღემდე არავინ იცის, ქამაროვის მამამ მისცა რამე შვილის გამოსახსნელად თუ არა, მაგრამ დატყვევებული ჩქარა განთავისუფლებულ იქმნა.

ამ დღეებში სურამში გვეწვია ქუთაისის პოლიცია და მრავალი ხალხი გაჩხრიკა და დააპატიმრა, სხვათა შორის, დაპატიმრეს: 1) ნატალია გიგაური, რომლის სახელიც დღემდე სრულიად ჩირქმოუცხებელი იყო, 2) ჭიპაძე, ფოსტა-ტელეგრაფის მოხელის კანდიდატი, 3) დავით სავანელი, სურამის მფრინავ რაზმის ყოფილი უფროსი და სოფელ ხოვლეში მთავრობის მამასახლისად ნამყოფი, 4) ნიკოლოზ ნიორაძე—ტეხნიკი, 5) ივანე მერვანიშვილი—მსახიობი და სხვა.

ამბობენ, დაპატიმრებას კავშირი აქვს ქამაროვის მოტაცებასთანო და ეს ჯარიმობა უფრო აკვირვებს აქაურ მცხოვრებლებს. **სურამელი.**

**სიღნაღის მაზრა.** მკითხველს ეხსომება, რო ფილოქსერასთან მებრძოლ კომიტეტის მიერ არჩეულმა განსაკუთრებულმა კომისიამ ფილოქსერით დაავადმყოფებულ ვენახების დათვალიერება-გამოკვლევას შემდეგ, გადასწყვიტა მათი ძირიან ფესვიანათ გადაწვა. ამ გადაწყვეტილების ასრულებაში მოყვანას უკვე შეუდგნენ და რამდენიმე ვენახი დედიანის საზოგადოებაში კიდეც გადასწვეს; სწვამენ ვაზების გარდა აგრეთვე ყველას, რაც კი ხვდებათ ვენახებში. მაგალითად ღობეს, მარგილებს და სხვა. დაავადმყოფებულ ვენახებს გარდა სწვამენ საერთოდ მთლად ყველა ვენახებს, რომელიც კაუშენებიათ დედიანის და ბაისუბნის ახალშენელებს ამ ხუთი წლის განმავლობაში და მთელი შრომა ამ ხნის განმავლობაში მუქთად ეკარგებათ. ძნელი წარმოსადგენელია იმ ხალხის და ისიც ახალშენელების მდგომარეობა რომელსაც ამგვარ ზარალს განიცდის; ამ შემთხვევაში საჭიროა კაცმა თვით ჩახოს დამწუხარებული პატრონი და ან კიდევ გამოცდილი ჰქონდეს თავის თავზედ ხსენებული მდგომარეობა...

ფილოქსერა წინად სხვაგანაც ამოჩენილია, ამგვარი ზომებისთვის სხვაგანაც მიუმართავთ, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ასე უსამართლოდ კი არსად არ მოქცეულან—მცირედი სასყიდელი მაინც მიუციათ. ახალშენელებისთვის კი ესეც დაიშურეს, რადგანაც მიზეზად ფილოქსერის აქ გადმოტანის ჰხდიან იმერულ ახალშენებს, რომელთაც ეკუთვნით მთლად ეს ვენახები. რამდენად მართალია ეს ბრალდება, ამის შესახებ სხვა დროს მქონდა შემთხვევა გამომეთქვა ჩემი მოსაზრება და ეხლა აღარ გავიმეორებთ. მაგრამ, ვთქვათ, დამნაშავეა აქ ერთი ორი, რომელმაც გადმოიტანა იმერეთიდან სანერგე ვაზი და ამათ შესახებ მიმართული სასჯელი სამართლიანია, მაგრამ ახლა ვიკითხოთ რა შუაში არიან დანარჩენები?

ამ ჟამად აქ, სიღნაღის მაზრაში, მოგზაურობს ტფ. გუბერნატორი, რომელსაც ახალშენელებმა თხოვნა მიართვეს და ითხოვეს სამართლიანობა... ვნახოთ, რა მოწყალება გამოვა.

**მროველი.**

**ს. დვაბზუ.** (ოზურგეთის მაზრა). ს. დვაბზუ მდებარეობს აღმოსავლეთით 5 ვერსის მანძილზე ოზურგეთიდან.

დვაბზუს თავისის მდებარეობითა და ნიადაგით და მცხოვრებლების რიცხვით პირველი ადგილი უჭირავს გურიაში. აქ არსებობს ორ-კლასიანი სამინისტრო და ერთ კლასიანი სამრევლო სკოლები სადაც ორასამდი მოწაფე სწავლობს.

ყველა ამ სიკეთესთან ერთი ნაკლიც აქვს. ეს ნაკლი გახლავთ სამკითხველოს უქონლობა. დღეს გურიაში იშვიათად შეხვდებით ისეთ სოფელს, სადაც ერთი პროგრესიული დაწესებულება მაინც არ იყოს. პირიქით ბევრს შეხვდებით ისეთ სოფელს, სადაც ორი-სამი დაწესებულებაც კი არის დვაბზუ კი ამ მხრივ გამონაკლის შეადგენს.

დვაბზუელები თითქო სადათა ძილს მისცემიანო, შედარებით სიზანტესა და უსაქმიანობას იჩენენ. აქ საკმაოდ ბევრი მოიპოვება ისეთი ძალა რომელსაც შეუძლია საქმეს გაუძღვეს და სამკითხველო დაარსოს ამის თაოსნობა თვით მასწავლებლებს შეუძლიანთ, მათი რიცხვი აქ ხუთამდე ითვლება მხოლოდ საჭიროა ცოტათი თავის შეწუხება. ძლიერ კარგი იქნება, თუ ეს ჩვენი მცირე შენიშვნა არ დაჩჩება „ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

**ოზურგეთელი.**

## თეატრი და ხელოვნება

**ადგილების ფასების დაკლება.** მომავალ სეზონისათვის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ ძლიერ გაიაფა ადგილების ფასი თეატრში. განსაკუთრებით გაიაფებულ იქნა ის ადგილები, რომელთაც ჩვეულებრივად ჩვენი ხალხის შუათანა და დემოკრატიული ნაწილები იჭერენ ხოლმე. პარტერში მრავალი ადგილებია 50 კ. დაწყებული 1 მანეთამდე და აივანი ხომ კიდევ უფრო გაიაფებული არის.

**პირველი კვირის რეპერტუარი.** როგორც ამას წინეთ ვსწერდით სეზონი გაიხსნება კვირის, 26 სექტემბერს „სამშობლოთი“. პიესას რეჟისსორობს ვ. შალიკაშვილი, რომელმაც სულ ახალი დეკორაციები დააწერინა მხატვრებს ნოკაკს და ლანსკის. სამხატვრო დეკორატიულ ნაწილს, გარდა რეჟისორებისა, განაგებენ აგრეთვე ცნობილი მხატვარი გრინევიცკი და ჩვენი ახალგაზდა მოქანდაკე ი. ნიკოლაძე, „სამშობლოს“ შემდეგ პარასკევს, 1 ოქტომბერს წარმოდგენილი იქნება ი. გორდინის ცნობილი პიესა—„სატანა“ ვლ. მესხიშვილის მონაწილეობით და რეჟისორობით. ამ პიესისათვისაც ახალი დეკორაციებია დახატული. კვირას, 3 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი ორიგინალური პიესა ნ. შიუკაშვილისა „სიმახინჯე“.

**ავტორთა ჰონორარი.** თავის უკანასკნელ სხდომაზე ქართ. დრამატ. საზოგ. გამგეობამ დაადგინა ჰონორარად ეძლიოს დრამატიულ ნაწარმოებთა ავტორებს თითო მოქმედებაში ორიგინალურ პიესის პირველ წარმოდგენისათვის ხუთი მანეთი, შემდეგი წარმოდგენისათვის კი სამი მანეთი; მთარგმნელებს კი მიეცემათ თითო აქტში პირველ წარმოდგენაში სამი მანეთი და შემდეგ წარმოდგენებში ორი მანეთი.

## წერილი კიევიდან

1 უმაღლესი სასწავლებლები. 2. ინტენდანტები. 3. მონასტრების რევიზია. 4. სამღვდელოების კრება. 5. ბინის საკითხი. 6. „606“ კიევში. 7. სოფლის მწერლების კურსები. 8. დუბროვინი კიევში. 9. საქორწინო გაზეთის შედეგი. 10. არმიყოფის ბინა. 11. ზემსტვის არჩევნები.

დაიწყო სამოსწავლო წელი და საუნივერსიტეტო ქალაქებიც მოსწავლე ახალგაზრდობით აივსო. წელს კიევის კომერციულ ინსტიტუტში უკვე 952 კაცი მიიღეს. ამ დღეებში კიდევ რამდენსამეს ჩარიცხავენ. უნივერსიტეტში ჯერ-ჯერობით ჩარიცხეს 850 ქრისტიანი; ურიები და ის ქრისტიანები, ვისაც რამე ქაღალდები აკლიათ, ჯერ არ ჩაურიცხავთ. ქალთა უმაღლესს კურსებზედ მხოლოდ 6 სექტემბრამდის ჩარიცხეს: ისტორ.-ფილოლოგიურ ფაკულტეტზედ—302 მსმენელი, ფიზიკო-მათემატიკურზედ—239, იურიდიულზე—52, ეკონომიურ-კომერციულზედ—11. სულ 604 მსმენელი. 75 ქალს კიდევ ჩარიცხავენ ფულის შეტანის შემდეგ. ქალების მედიკურ ინსტიტუტში მიიღეს 778 ქალი. 650 პირველ კურსზედ, დანარჩენები—130 მეორესა და მესამეზედ.

სასულიერო აკადემიაში წელს მიიღეს მხოლოდ 47 კაცი, საიდგანაც 15 მღვდელია. აკადემიაში თითქმის ყველა უფრო ცნობილი პროფესორები დაითხოვეს. რექტორი ეპისკოპოსი პლატონი გაგზავნეს მოშორებულ ეპარქიაში. ყველა ეს არქიეპისკოპოსი ცნობილი ანტონის რევიზიის შედეგია. ეხლა რექტორად დააყენეს პროფ. ბოგდაშევსკი, რომელსაც უბრძანეს მღვდლად აღკვეცა. როგორც სატახტო ქალაქები გადმოგვცემენ სავაჭრო-სამრეწველო სამინისტროს სამოსწავლო განყოფილებამ საბოლოოდ გადასწყვიტა მიეცეს უფლებები კიევის კომერციულ ინსტიტუტს. განყოფილებაში სამაგალითო წესდების გეგმის შედგენას უკვე შეუდგნენ. შემდეგ ის გარდაეცემა საგანგებო თათბირს მეცნიერებასა, ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენელთა თანადასწრებით. დაამტკიცებენ საზოგადო კანონ მდებლობითი წესით.

კიევის ოლქში რევიზიის შემდეგ სენატორ გარინს სამართალში მიუცია 35 ინტენდანტი, სენატორ დედიულინს 50, სენატორებს მედემს, ლეჩინსკის და ნეიდგარტს 15. სულ კიევის ოლქში 100 საინტენდანტო და საინჟინერო უწყების მოხელეა მიცემული სამართალში. სამხედრო გამომძიებელმა სენატორ გაგარინის მიერ სასამართლოში მიცემულ 35 ინტენდანტს უკვე ჩააბარა გამოძიების პირველი ნაწილის პირი და წარუდგინა ნიშნობრივი ბრალდება. ეს ბრალდება,—მექრთამეობა, ზოგიერთთ კი ბრალდებათ—დატყუებით ფულის წართმევა (**вымогательство**), ორს კიდევ ქაღალდებში სიყალბე. გამოირკვა მოიჯარადრეების მიერ მიცემულ ქრთამების მინიმალური ჯამი. ასე, ტიხონოვს აუღია 160,000 მან. (მინიმუმი), დიმიტრიევს—36,000 მან., ბანკოვსკის—30,000. სხვებსაც ცოტა ამათზედ მეტ-ნაკლები. ეს ჯამი გამოყვანილია მხოლოდ წვრილი ქრთამების საგან. რაც შეეხება უფრო მსხვილ ქრთამებს, ისინი ჯერ ანგარიშში არ არიან მოყვანილნი. ამ დღეებში ორს ინტენდანტს, უკვე სამართალში მიცემულს, კიდევ აუღიათ რამდენიმე ათასი მანეთი ქრთამი სუჯანის ეროვისაგან, მაგრამ ეს გამოაშკარავდა და გამომძიებელს გადაეცა საქმე. კიევის ინტენდანტებს სულ 1904 წლიდგან 1910 წლამდე მიუღიათ ქრთამად—სანივთო განყოფილების მოხელეებს $2^1/_2$ მილიონი (ამ ჯამში კერძო ქრთამები არ შედის: ეს მხოლოდ ნივთების პროცენტური გადასახადი ყოფილა); სასურსათო განყოფილების მოხელეებს 2 მილიონ მანეთამდე. ისე გამორთმეული ფულიც $1^1/_2$ მილიონამდეა. ამ გვარად კიევის ინტენდანტებს ამ ხუთი წლის განმავლობაში აუღიათ 8 მილიონი მანეთი ქრთამად.

ამ ჟამად კიევში ხდება მონასტრების რევიზიაც. ბევრი ბოროტ-მოქმედება აღმოჩნდა აქაც. კიევის სამების მონასტერში მონასტრის წინამძღოლს არქიმანდრიტ მელქისედეკს გაუფლანგავს 900,000 მანეთზედ მეტი. აქედგან 300,000 მონასტრის ნაღდი ფული ყოფილა, 400,000 მანეთი სხვა და სხვა პირთა მიერ მონასტრისთვის შეწირული სხვა-და-სხვა პირთა მიერ და ამის გარდა არქ. მელქისედეკს მონასტრისთვის ვალად დაუდვია 250,000 მან. იგი ამ ჟამად კონსისტორიის სამართალშია მიცემული, სადაც ეს საქმე უნდა ამ თვის ბოლომდე გაირჩეს. როგორც გაზეთებში ხმები იყო ამ საქმის გამო მიტრ. ფლაბიანე ადგილს თავს ანებებსო.

კიევში ყველაზედ უფრო საჭირბოროტო საკითხი ბინის საკითხია. საშინელი ძვირია ბინა. კარგს ადგილას სამი ოთახი ღირს 70—90 მანეთი. ამ ბოლო დროს შესდგა ამხანაგობები, რომლებიც სახლებს საერთო ძალით აშენებდნენ და შემდეგ ბინებს საკუთრებად იყოფდნენ. მაგრამ ამ ბოლო დროს ამ გვარი საერთო ძალით აშენებული სახლები, რომლებიც მომეტებულ ნაწილად მოიჯარადრეებს ჰქონდა დაგირავებული ასაშენებლად იმ პირობით, რომ სახლებს აშენების შემდეგ ბანკში დააგირავებდნენ და ფულებს ისე მიიღებდნენ, ბანკებმა აღარ დაიგირავეს. ბინის პატრონებმა მთავრობას მიმართეს, რომ ბანკებს ძალა დაატანონ, სახლები დაიგირავონო.

3 სექტემბერს პროფ. ტომაშევსკიმ კლინიკაში ხელ-ახლად დაიწყო „606“ წამლობა. წამალი შეუშხაპუნეს 3 ავადმყოფს, რომლების მდგომარეობისთვისაც არსებობენ ხოლის შეშხაპუნება შესაძლებელი იყო. როგორც პროფ. ტომაშევსკი ამბობს, იმ ავადმყოფებს, რომლებსაც უკვე დაეწყოთ თვალის ნერვის (**зрительный нерв**) ატროფია, ან ვისაც სალი არა აქვს გული ან თირკმელები, ან თუ აციებს და სიცხე აქვს, ექვსას ექვსით წამლობა მათი არ შეიძლება. პროფ. ერლიხის ამპულკები ბევრი აქვთ აქა, და თითქმის ყველა საავადმყოფოებში აპირობენ მითი წამლობის დაწყობას.

**გ. ნამორაძე.**

(შემდეგი იქნება).

## ცოტა რამ ოსმალეთზე

**ალბანელ რევოლიუციონერთა ბეთის მეთაურის სიკვდილით დასჯის გამო.** *)

(შემდეგი დიდი ხნის დაკვირვებისა).

თავდა-პირველად, როცა ყველა პარტიები საერთო მოქმედებისათვის შეთანხმდნენ, ახმედ რიზა-ბეგისა და პრინც საბა-ედინის მეთაურობით, ასე დაადგინეს: მიიტანონ საერთო იერიში სულთან ჰამიდის სუზერანიის წინაამდეგ, გამოაცხადონ კონსტიტუცია და ის კი სულთან ჰამიდი, ტახტიდან ჩამოაგდონ, ამ უკანასკნელს თხოულობდა ახრარიების მოთავე საბა-ედინი, ამასვე თხოულობდნენ ყველა პარტიები ერთად.

ვინც კი ამ ოცი წლის განმავლობაში თვალ-ყურს ადევნებდა ოსმალეთის მოძრაობას, ის კარგად მიხვდება, ვინ იყო უმთავრესი მომქმედი ოსმალეთის მოძრაობისა; ჩერქეზი მურად-ბეგი, გურჯი ახმედ-ბეგი (თავდგირიძე), იზმაილ-ბეგი (ალბანელი), ალიქემალი, საბა-ედინი (ოსმანლი) და I.ხვანი, აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ ახალგაზდა თურქები მარტო დღევანდელ მთავრობას კი არა ჰქვია, არამედ ოსმალეთის ყველა მცხოვრებთა იმ ინტელიგენტებს, რომლებმაც დაიწყეს ოსმალეთში მოძრაობა ნამდვილი თუ გნებავსო, იგი დაიწყო ჯერ მაკედონიაში, შემდეგ სომხეთში და ბოლოს კი ოსმანლებში გადავიდა.

წინასწარი ხელშეკრულობა პარტიათა შორის ნათლად ამბობს იმას, რასაც ახლა თხოულობენ იგინი. თუ ამ შეთანხმების დროს მეთაურად ოსმალო ახმედ-რიზა აირჩევს, ამას მოითხოვდა ეთიკა, მასთან ეს იყო ერთნაირი ტაქტიკური მოსაზრება ყველა ეროვნების წარმომადგენლებისა, რიზა ბეგი იქმნა არჩეული აგრეთვე პარლამენტის თავმჯდომარეთაც. კიდევ იმავე მოსაზრებით, რადგან ოსმალეთში ოსმანლი უფრო ძმურად ითვლებოდა და ითვლება, ოსმალეთის არც ერთი ეროვნება ოსმალების საწინააღმდეგოს არას იფიქრებენ, თუ კი ხელშეკრულება პირნათლად იქმნა განხორციელებული. ასეთი. ოსმანლებისადმი უპირატესობის მინიჭება იმას კი არ ნიშნავს თუ, რაკი იგინი აირჩიეს. კიდევაც ბატონად უნდა გაიხადონ, აქ იგულისხმება მხოლოდ პატივისცემა და ნდობა უმცროსი ძმებისაგან უფროსი ძმისადმი.

მაგრამ გაამართლეს კი ოსმანლებმა მათდამი ასეთი ნდობა?.. ამას ქვემოდ დავინახავთ.

ოსმანლებმა ჩაიგდეს რა ხელში სახელმწიფოს მართვა-გამგეობა, მაშინვე უარ-ჰყვეს ყველაფერი, შეჰქმნეს ახალი პარტია „უნიონ-პროგრედ“ წოდებული, და თავისი-თავი გამოაცხადეს ოსმალეთის მეფედ „**ოსმალეთი ოსმანლებისათვის**“-ო, ყველა დანარჩენ ეროვნებას მიენიჭება მხოლოდ ერთნაირი უფლება ოტომანის სამეფოში, სავალდებულოა ოსმალური ენა, თათრული, არავითარი „იმთიაზი“ თვით-მმართველობა, არავითარი უპირატესობა არავის არ უნდა ჰქონდესო. მიუხედავად ყველა ამ საქციელისა, მათ სულთან ჰამიდიც ტახტზე დასტოვეს, როგორც ოსმანელთა დინასტიის მეფე, გამოცდილი დიპლომატი და მასთან ოსმანელთა ეროვნე-

*) იხ. „სახალხო გაზ.“ N 112.

რას ჰმოწმობს შენი ორი დიდი ქვა,
[illegible] ნაპირს რომ დაგკიდებია,
და ვით ცოცხალი ორი არსება,
ერთმანეთს ძმურად შესჩერებია?
მესმის პასუხი:—ნაქალაქევსა
როცა სასტიკი მტერი დაეცა
და მუსრს ავლებდა, ერთი ყმაწვილი
ფეხ-მძიმე დედა მტერსა გაექცა;
მოადგა ტეხურს და შევედრა:
„წმინდა მდინარევ, შემიბრალეო,
გადამიყვანე გაღმა ნაპირზე,
თორემ გამაქრობს მტერი მალეო.
„დედა-მოკა“ ვარ, თან მუცლით მომყავს
მტრისგან მოკლულის გმირის შვილიო,
უნდა ავზარდო გმირად, ვუმღერო
თავისუფლების „ნანა“ ტკბილიო“!
სთქვა და მტერიცა წამოეწია,
მაგრამ აზვირთდა ტალღათა გროვა,
ორივე კიდიდან ორი დიდრონი
ქვა ერთმანეთსა დაუახლოვა,
ისე, რომ ქალმა ზედ გადგა ფეხი
და შეაფარა გაღმა ტყეს თავი,
წყალი ადიდდა, გადმოიღვარა
და თან წაიღო მდევარი ავი.
ახალ-შობილსა ძუძუსთან ერთად
დედა ტეხურის ცივ წყალს აწვდიდა,
და მის ტალღათა სიმღერის ხმაზე
მამულის დამხსნელს ჰაბუკსა ზრდიდა...
მას აქეთ ყველა გაკვირვებითა
უმზერს ტეხურის პირად ორს ქვასა,
და ამ საამურ სანახავს ადგილს
ხალხი უწოდებს „დედა-მოკასა“.

### III. მარტვილი.

მთელი კოლხიდა ერთ დიდ წალკოტად
გადაფურჩქვნილა მშვენიერადა,
და მის შუა-გულს ამკობს მარტვილი,
ვითა ედემი, მრავალ-ფერადა.
თითქოს ცისაკენ მიისწრაფება,
სერზე მდგომარე, ამაღლებული,
გვერდით უდგია ალვის ხეები,
ცაცხვი და მუხა ამწვანებული.
ეზოში ნორჩი მჟელო ბიბინებს,
ნიავი ჰშლის მაგრილებელი,
არწევს რტოებსა, ფშვინავს ფოთლები,
მზის სიცხისაგან დამჩრდილებელი.
უმზერს ცხენის წყლის გაღმა ხვამლის მთას
და იმერეთის ტევრებს, ველებსა,
სურამისა და აჭარის ქედნი
თითქოს უწვდიან შორით ხელებსა.
ლეჩხუმ-სვანეთის მთებიცა მისკენ
თეთრის გვირგვინით გადმოხრილია,
და დასავლეთით, შავ-ზღვის კიდემდე
კოლხიდის ვაკე გადაშლილია...
აქ მოჰქრის სამღვთო „ჰყონის“ ადგილი
წმინდა თლილს ტაძარს დაუჭერია,
მის საკუთხევლით სმენილს ღვთის სიტყვას
მაშვრალთა გული აუძგერია,
შენ გახდი აკვნად ახალის სჯულის,
ახლად მოქცეულ კოლხიდელების,
და განათლების ხალხში მიმფენად,
სავანევ ბრძენის ჰყონდიდელების!
ახლა ვინ სხედან ჰყონდიდელთ ადგილს,
ვინ ადიდებენ ჩვენს ქვეყანასა?
ვისი სიბრძნე და მჭევრმეტყველება
ზრდის სულს და სცდილობს ზე-აყვანასა?
მარტვილის შიგნით მდუმარებაა,
გარედ-კი ხალხი ყრუდ ოხრავს დრტვინავს,
მხოლოდ სიმბოლო განახლებისა,
ჯვარი ტაძრისა მაღლიდან ბრწყინავს...

### VI. კინჩხის ჩანჩქერი.

მაღალ, ციცაბო კლდიდანა
გადმოსჩქეფს წყალი სწრაფადა
და ძირს ეცემა, იმსხვრევა,
ქცეული სპეტაკ ქაფადა.
შორიდან გესმის მისი ხმა,
ახლოს—გასხურებს წვეთებსა,
იბნევა ნისლად, ქარს მიაქვს
და ნამავს კლდეთა ფერდებსა.
ძირს სცვივა მარგალიტები,
ადუღებულ ტბად გროვდება,
ტრიალებს, მერე გადადის,
მდინარეს უახლოვდება.
ვუმზერ და მინდა მარადის
არ მოვაშორო თვალები,
მის პირად ჩამომშვინვარე
ფოთლებში დავიმალები!
ვუსმენ და მინდა მისი ხმა
მიტკბობდეს მუდამ სმენასა,
ვსდგევარ და თითქოს ჩანჩქერის
ვიგებ იდუმალ ენასა!..

### V ბოთოწინა.

ოდიშისა და ლეჩხუმის საზღვარს,
ცხენის-წყალი, რომ მორბის სწრაფადა,
გოლიათ-მთების გასაპობელად
და უღრან ტყეთა გასაკაფადა,
გულ-გახსნილი მზე ციმციმ სხივებით
ლაჟვარდოვანის ციდან დაჰყურებს,
ხავსით მოსილ ქვებს, მოტეხილ კლდეებს
მიადგება და ცეცხლებრ ახურებს;
მაგრამ მცენარე, ფოთოლ-დასხმული,
ჰმართავს კამარა-საჩრდილობელსა
და ცხენის-წყალი სიცხეს ანელებს,
ჰგზავნის სიო ნამს საგრილობელსა,—
იქ სამკურნალო მჟავე წყლებია,
ყინვასავით ცივ წვეთთა მფრქვეველი,
ჰსვამ და ჩუხჩუხებს, ვითა მაჭარი,
გრილ საამური დასალევველი.
სოფელ კინჩხიდან და ლეჩხუმიდან
აქ ჩამოსულან ტურფა ქალები,
საავარაყოდ შეკრებილს სტუმრებს
კრძალვით სჭვრეტს მათი შავი თვალები.
ოფიტარა და ლაჭყეპიც კი,
მთას მიკრუნჩხული ორი სოფელი
წნულის ფაცხებით, ვით მერცხლის ბუდე,
წყლის გაღმა მოსჩანს გაუცნობელი.
ლურჯმა ნისლებმა მსუბუქ კვამლივით
ხევი და მისი არე შემოსა.
ძირს ცხენის-წყალი მიჰქუხს, ჰიშხუის
და ახმაურებს გარემოსა...

### VI გზაზე.

ოცხილნარის ძირას, ყოლინდარს შორის
მიჰქროლავს ეტლი... გზა ვაშლილია,
ხშირი სოფლები, ერთ ბაღად ქცნილი,
ირგვლივ ხავერდად დაფენილია.
გორაზე პაწა ტყეს დაუჩრდილავს
თეთრი ლამაზი სავანე მშვიდი,
აგერ მაღალი ხოპის სამრეკლო,
ცაცხვებში მოსჩანს ტაძარი დიდი.
მარჯვნივ ურთის მთა, გვირგვინად წნული,
დაჰყურებს სოფლებს თვალ-მადლიანად,
და მის კალთებზე დაფნის ფოთლებსა
ჰკრეფენ ქალები ხალისიანად.
მიჰქრიან ცხენნი... და წინ მჯდომარე
მეეტლე თავის თანამგზავრებით
მოჰყვება მღერას, მოსდებს მთა და ბარს
სევდის გამქარველ ხმისა აგზნებით.
მეგრელს არ უყვარს მარტოდ ღიღინი,
უნდა შეეწყოს რამდენიმე ხმა,
და თვითეულმა შეთანხმებულად
შიგვე ჩაასკვნას თვისი გულის თქმა.
მღერენ და გესმისთ მათს სიმღერებში
დაუმაგრებელ გრძნობის დუღილი,
აღუსრულებელ სურვილთა ლტოლვა,
აღფრთოვანება და ხან წუხილი.
და თქვენც გიტაცებთ მაღლა ოცნება,
ზღაპრულს მხარეში ფრთებით მიჰყავხართ..
ოჰ, ჩემო ტკბილო, დაუვიწყარო,
სამშობლო ხმებო, როგორ მიყვარხართ!

**მელიტონ გობეჩია.**

(დასასრული იქნება)

ბაში და სამღვდელოებაში გავლენიანი კაცი.

ასეთმა ღალატმა საერთა-შორისო ხელშეკრულებისამ დაჰბადა სხვა პარტიათა და ეროვნების შორის უკმაყოფილება, გააჯავრა უმთავრესად საბაჰედინი და მისი თანამოაზრენი. სწორედ ეს გახდა მიზეზი არეულობისა, რომელიც მოახდინეს ახრარიებმა, რომელთაც ემხრობა ოსმალეთის ყველა პარტიები, გარდა „უნიონ-პროგრესლებისა".

ყველა პარტიები ოსმალეთში მოხსენებული ხელშეკრულების იმედით ერთად მოქმედებდნენ, ერთად იტანჯებოდნენ, ახმედ-რიზა, საბაჰედინი, ჩერქეზმურად ბეგი, ახმედ ბეგი, იზმაილ-ბეგი, ალიქემალი და სხვები. პარტიათა შორის ხელშეკრულობა ნათლად ამბობს, გამოცხადდეს ოსმალეთში კონსტიტუცია, მიეცეს ოსმალეთის ხალხს სრული თავისუფლება, შესდგეს ოსმალეთიც ერთი იმპერია, სადაც ყველა ოსმალეთის ეროვნებამ უნდა დაიცვას თავისი ეროვნული არსებობა შინაურის თვითმმართველობით ერისა და განუყოფელ ადამიანთა ბაირალ ქვეშ, და უკეთუ, როგორცა ვსთქვით კიდეც, ამ ხელ-შეკრულობის დადების დროს მეთაურად ოსმანელო ახმედ რიზა აირჩიეს, ამას მოითხოვდა მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრება, მასთან ერთად „ოსმანლი" ოსმალეთში მიაჩნდათ უფრო პატივსაცემ გვარად, როგორც დამპყრობნი კონსტანტინოპოლისა, შემქნელნი ოსმალეთის იმპერიისა არა იმიტომ რომ ამათ ებატონათ ოსმალეთის ყველა სხვა ერებზე.

დიაღ, ასეთმა ღალატმა საერთაშორისო რწმენისამ, დარღვევამ მოხსენებული ხელშეკრულობის უმთავრესის მუხლებისამ, გამოიწვია ოსმალეთის ეროვნებათა შორის უკმაყოფილება, და სწორეთ ეს იყო მიზეზი 1909 წლის 31 მარტის კონტრ-რევოლიუციისა ოსმალეთში. ეს კონტრრევოლიუცია მოახდინეს, „უნიონ-პროგრეს" წინააღმდეგ, „არაბებმა", რომელიც შეადგენს, ოსმალეთის იმპერიაში დიდ უმრავლესობას, რასაც, სხვათაშორის მოგვითხრობს, ამ წერილის მეთაურში მოხსენებული წერილის ავტორიც, („სახალხო გაზეთი № 12) რომელიც ამტკიცებს ჩვენს შეხედულობას წინათ და დღეს. ჩვენი დიდი ხნის დაკვირება, გამოცდილება, საქმის გარემოება გვიმტკიცებს, რომ ოსმალეთს მანამ არ ეღირსება მშვიდობა, სანამ მათი საერთაშორისო პარტიათა შორის შეკრული პირობება, რომელიც თავის ნამდვილად ასრულებით აკმაყოფილებს ოსმალეთის ყველა ეროვნებას თავ-თავის ელფერში, არ განხორციელდება პრაქტიკაში.

შესაძლებელია დღეს ოსმალეთის მთავრობამ სძლიოს ალბანელებს, ხვალ მაკედონელებს, ზეგ არაბებს... მაგრამ ეს იქნება მხოლოდ დროებითი ძლევა, დროებითი გამარჯვება, როგორც ნაყოფი ცბიერის პოლიტიკისა. მართალია დღეს „უნიონპროგრე" როგორც უკვე ვსთქვით ჯარის კაცთა საშუალებით ახერხებენ ძმის ძმაზე გალაშქრებას, ერთი ეროვნების პოტყუებას მეორის დასამხობად, როგორც ეს ჩვეულებად არის გადაქცეული თითქმის ყოველგან „ცბიერპოლიტიკის" მეოხებით, მხოლოდ ადრე თუ გვიან ასეთი პოლიტიკოსნი უეჭველად დამარცხდებიან და მაშინ ოსმალეთის მდგომარეობა, ადვილი შესაძლებელია ძლიერ გლახად შეიცვალოს.

თავადი საბა-ჰედინი, მეთაური „ახრარიებისა, შვილი დამატ-მაჰხმუდ ფაშისა, რომელმაც მთელი თავისი მილიონები შესწირა ოსმალეთის რევოლიუციას, საყოველთაოდ აცხადებს, რომ ჩვენი ხსნა, ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა, მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ოსმალეთის ყველა ეროვნებას მიენიჭება „იმთიაზი" ეროვნული შინაური თვითმართველობრივი უპირატესობაო.

თავიდანვე თავადი საბა-ჰედინი „ახრარიების" დეცენტრალისტების მეთაური, აბდულ-ჰამიდის ტახტიდან გადაყენებას ითხოვდა, „ითჰატი-ტერექმა", დღეს „უნიონ-პროგრედ" წოდებულმა-ცენტრალისტებმა. თავიანთი მიზნის—ცენტრალიზმის გასამტკიცებლად დასტოვეს აბდულ ჰამიდი, რადგან მას დიდი გავლენა ჰქონდა უბრალო ხალხში და ჯარის კაცებზედაც, გარდა აფიცრობისა.

უკანასკნელი, კონტრ-რევოლიუციად შეცთომით წოდებული, არეულობა, თუმცა „ახრარიებმა" მოახდინეს მხოლოდ მათი სურვილი კონტსტიტუციის მოსპობა კი არ იყო, როგორც ამას ვითომ უმტკიცებენ უნიონ პროგრესისტები ქვეყანას, არამედ სულთან-ჰამიდის ტახტიდან გადაყენება როგორ ოსმალეთის სასულიერო წოდებაში დიდად დახელოვნებულ რეაქციონერისას დამითვე უნდოდათ „უნიონ პროგრესისტელების" ალაგმვა, რომ მათ ის საერთაშორისო პირობა, რომელიც იყო დადებული პარტიათა შორის, დიდებულ აქტის, ოსმალეთში კონსტიტუციის გამოცხადების წინ უსრულებდათ. იმ დროს ყველა ეროვნება ოსმალეთში ერთის მიზნით და იმედით იყო გამსჭვალული და სწორედ ამიტომაც მისცეს მხარი ოსმანლებს, რომლებმაც ფიცი დასდეს: დავიცავთ ეროვნებათა ხელუხლებლობასო. იმ დროს ოსმალეთის ყოველი ახალ-გაზრდობას, განურჩევლად რჯულისა და სარწმუნოებისა, საბაჰედინისა და ახმედ-რიზა-ბეგის მიმდევრებს ახალგაზრდა თურქები ერქვა, თათრულად „იენიტურქ". იმ დროს, არც უნიონ პროგრე იყო, არც ახრარი, ეს სახელ-წოდებანი გამარჯვების შემდეგ წარმოიშვა.

როცა ოსმანლები გამარჯვებისა და კონსტიტუციის გამოცხადების შემდეგ ცალკე გადგნენ და თავიანთ თავს უწოდეს „უნიონ პროგრე", აი აქედან იწყება საბაჰედინის უკმაყოფილება, რომელიც დეცენტრალიზაციის-ოსმალეთის განუყოფელ საიმპერიო ფედერაციის მომხრე იყო, ეროვნებათა ავტონომიის შემოღებით. ამ მიზნითვე იყო შეკრული პარტიათა შორის ცნობილი და ზემოდ მოხსენებული შეთანხმების პირობაც.

სწორედ და მხოლოდ ამ პირობის დარღვევამ გამოიწვია ალბანელების აჯანყება, არაბების ამბოხი, მაკედონიის არეულობა, სომხების უკმაყოფილება და სხვა...

ნურვის ჰგონია, რომ ოსმალეთში მშვიდობიანობის დამყარება შეეძლოს ერთ მუჭა ოსმანლებს, (სულ 6 მილიონია). შეუძლებელია 25 მილიონი სხვა და სხვა ტომის გათათრება, მათი ეროვნული გრძნობების მოსპობა, იქ მაინც, სადაც მბრძანებელი ელემენტი ხუთჯერ და ექვსჯერ ნაკლებია დასამონავებლად განზრახულ ეროვნებაზე.

ამასვე მოგვითხრობს თვით იმ ზემოდ მოხსენებული წერილის ავტორი: აშკარაა, რომ ექვს მილიონ ოსმანლოს არ შეუძლია იუფლოს სხვა მასზე მრავალ რიცხოვან ერებზედ, ამ შემთხვევაში ვერავითარი სიმხეცე და სისასტიკე ვერ უშველის მათ... იქვე დასძენს იგივე ავტორი,—უთუოდ სცნობს და ბოლოს, ერთა გათანასწორების იდეას...—ახალ გაზდა ოსმალები,—აქ ავტორი ამ სახელწოდებით გულისხმობს დღევანდელ ოსმალეთის მთავრობას,—თანდათან იმსჭვალებიან ამ აზრით, მაგრამ ამასთანავე ჰგონიათ, რომ შესაძლოა აგრეთვე სხვა ერების გაოტომანება და ეს მათი შეცდომაა, ასეთი მათი მისწრაფება ისევ ძველებური ბატონობაა, და სხვა...

ნურვის ჰგონია, აგრეთვე, თუ ის ალბანელები, რომელნიც პირველი მეომრები იყვენ ოსმალეთში კონსტიტუციის დამყარების დროს, ახლა რეაქციონებად გადაქმნილიყვნენ, ოსმალეთის ეროვნებათა შორის იშვიათად იპოვნით რეაქციონერთა ჯგუფს, გარდა თითო-ოროლა ისევ კონსტანტინოპოლის მცხოვრებლებისა, ისიც სასულიერო წოდებაში. დიდი უმეტესობა ამ ეროვნებისა თავგანწირულნი მებრძოლნი იყვნენ და არიან დღესაც, მაგრამ ამიტომ კი არა რომ ისინი გაოტომანონ რჯულითა და ენით, იგინი ყველა ისეც ოტომანებად ითვლებიან, როგორც ოსმალეთის მოქალაქენი, მაგრამ თავ-თავიანთის ენითა და რჯულით, ყველა მათგანის მიზანი ის არის, რომ ისინი იყვნენ წევრნი ოსმალეთის იმპერიისა და ერთსა და იმავე დროს უსათუოდ უნდათ შეირჩინონ თავიანთი ეროვნული ელფერი. ამასვე აღიარებს და აღიარებდა თავის. პოლიტიკურ რწმენაში თავადი საბაჰედინი, ეს ოსმალეთის უანგარო პატრიოტი—„სანამ ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნებას „იმთიახს" თვით-მმართველობას არ მივანიჭებთ, ჩვენში მშვიდობა არ დამყარდებაო". თავადი საბა-ედინი უბრალო ოსმალო არ არის და არც ოსმალეთის მტერია იგი, მან და მამა მათმა 35 მილიონი შესწირეს განმათავისუფლებელ მოძრაობას, არც თვითონ დაუზოგავთ თავი არასფრით. მდიდარმა დამად-მაჰხმუდ-ფაშამ,—საბა-ედინის მამა იყო, რომელსაც მილიონები ჰქონდა და ხელმწიფესავით ცხოვრობდა, დასთმო ყველაფერი, გაიქცა საზღვარ-გარედ და თავის ავლა-დიდების მეტი ნაწილი რევოლიუციას შესწირა. თვითონ სამშობლოს დაშორებული მოკვდა, არც კი აღირსა „წითელმა სულთანმა, მოეტანათ მისი ნეშტი და სამშობლოში დაემარხათ. ამ დიდებული კაცის ანდერძში შემდეგს ვკითხულობთ „ვკვდები, თქვა მან, ვკვდები უცხოეთში, ვერ ველირსე, სამშობლოში დაბრუნებას ცოცხალი, მაგრამ ვკვდები იმ სრულისა და შეურყეველის რწმენით, რომ მივდივარ ჩემს წინაპრებთან, რომლებსაც უნდა ვახარო, რომ ჩემი მრავალ ტანჯული ძვლები, ადრე მომავალში გადატანილ იქნება ჩემს თავისუფალ სამშობლოში. და ასეც მოხდა. მისი ნაშთი დიდის ამბით მიასვენეს და დაკრძალეს მათ საგვარეულო აკლდამაში.

აი, დღეს კი, ასეთი კაცის შვილი და მთელი მისი თანამოაზრენი აბუჩად აგდებულნი ჰყავთ ოსმანლებს და მოსპობა განადგურებას უპირობს მათ, რაო და, თუ ოსმალეთის ეროვნებას ავტონომია მიენიჭა, შემდეგ ისინი ჩვენ დაგვჩრდილავენ და შეიძლება კიდევაც გავითქვიფოთ შიგო და აი, სწორედ ამიტომ იგინი თავიანთი სისასტიკით ყოველ მოელოდინს აჭარბებენ, ამ მხრივ სპარსელები ბევრად წინ დგანან მათზე, ოსმალეთის მთავრობა ისე კი არ მოექცა თავიანთ მოწინააღმდეგებს, როგორც სპარსეთის სათარხანს და სხვებს, არამედ, რომელიც კი ხელში იგდო ზოგი მოჰკლა, ჩამოახრჩო, ზოგი ას ასი წლით კატორგაში ჩასვა მაგალითად ჩერქეზ მურად-ბეგი დამწყები ოსმალთა მოძრაობისა და სხვა.

ჩვენ კი ასე გვწამდა ყოველთვის და ახლაც ასე გვწამს, რომ გინდ მართლაც ნაპოლეონ ბონაპარტე დაიბადოს ოსმალებთა შორის, ვერც ის უშველის მათ და თუ ამათ ხელი არ აიღეს თავიანთ შოვინისტურ პოლიტიკაზე, ოსმალეთის დაღუპვა აუცილებელია.

**იახე რაჭველი.**

## სასამართლო

**კლიენტის ფულის მითვისება.**

21 სექტემბერს ტფილისის საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე ნაფიც ვექილის თანაშემწის ალექსანდრე არტემისძის ხოჯა ეინატოვისა. აბრალებენ შემდეგს.

მას აუღია საქმე ნინო ბურიცკაიასი, რომელსაც ვექსილით მოსაგები ჰქონდა 5000 მანეთი. ხოჯა ეინატოვს გამოურთმევია ბურიცკაიასთვის 250 მანეთი, ხაზინაში შესატანად, ვითომ საქმის ჩქარა გასათავებლად, და ხაზინაში შეტანის ნაცვლად, თვითონ მიუთვისებია.

დამნაშავეს იცავდა ნაფიცი ვექილი არწრუნი.

სასამართლომ ხოჯა-ეინატოვს გადაუწყვიტა ღირსების ახდა და ორი თვით დაპატიმრება.

## ბიბლიოგრაფია

**ნერსეს აკინიანი (ვიენის მხითარისტთა სომეხ-კათოლიკე ბერი).** „ქართველთა კათოლიკოსი კირიონი", (სომეხ-ქართველთა ურთიერთობის ისტორია). ვიენნა. 1910 წ. ფასი 5 ფრ.).

ნერსეს აკინიანის ეს ფრიად საინტერესო შრომა შეეხება სომეხ-ქართველთა ურთიერთობასა და საქართველოს ეკკლესიის სომხის ეკკლესიიდან განშორების საკითხს.

ამ წიგნის ავტორს შეუკრებია ყველა ის საჭირო მასალები, რომელნიც ამ საკითხის ყოველ-მხრივ შესწავლას ხელს უწყობს.

რისთვის ჩამოშორდა სომხისას საქართველოს ეკკლესია?

აი, ის საკითხი, რომელსაც საუკეთესოდ განმარტავს ნერსეს აკინიანი.

ვერ ვიტყვით, რომ ამ შრომაში დაწვრილებით აღნიშნული იყოს ყველა ისტორიული მიზეზები, მაგრამ ყველა ის, რაც გამოქვეყნებული არსებულ მასალების მიხედვით, ნათლად გვიჩვენებენ, რომ გარდა სხვა და სხვა ისტორიულ მიზეზების, ეს განხეთქილება გამოუწვევია სრულიად შემთხვევითი მოვლენებს, კერძო ინტერესებიდან წარმოშობილი შუღლსა და ურთიერთობას.

ეს შრომა მით უფრო საყურადღებოა, რომ სხვა ამგვარი გამოკვლევა ამ საკითხის შესახებ არ არსებობს სომხურ ლიტერატურაში და, თუ არა ვცდებით, მგონია, არ უნდა იყო, არც ქართულ ლიტერატურაში.

ქართველთა და სომხების ეკკლესიათა შორის განხეთქილება მომხდარა მეშვიდე საუკუნეში და მას შემდეგ სამუდამოდაც განშორებიან, ერთმანეთს, კავშირი შეუწყვეტიათ.

მოვსეს კათოლიკოსის დროს, სომხის ეკკლესიას დიდი ურთიერთობა ჰქონია ქართულ ეკკლესიასთან და ამ ეკკლესიის იმ დროინდელი კათოლიკოსი კირიონი დიდი მეგობარი ყოფილა მოვსესისა.

კათოლიკოსი მოვსესის შემდეგაც, კათოლიკოს აბრაჰამის დროს, პირველ ხანად მაინც, ამორ ეკკლესიათა შორის იგივე კეთილ-განწყობილება ყოფილა, მაგრამ, შემდეგში ეს კავშირი დარღვეულა საქართველოს მახლობლად ყოფილ ერთ-ერთ ეპარქიის უცროსის ეპისკოპოს მოვსესის გამოისობით, რომელიც გადამტერებია კათოლიკოს კირიონს.

სომხის ამ ეპისკოპოსის პროვოკაციებისა გამო, 609 წელს, ორ მოძმე ერთა ეკკლესიები სამუდამოდ ჩამოშორებიან ერთმანეთს. მას შემდეგ 13 საუკუნეა, რაც მეზობელი ეკკლესიები ერთის უღირსი ეპისკოპოსის კერძო მძულვარებისა და ბოროტებისა გამო ერთმანეთს დაჰშორდნენ.

ეკკლესიათა ეს ორი ხელმძღვანელი, თავის პირად ანგარიშებისა გამო ერთმანეთს რომ არ გადაჰკიდებოდნენ და ცოტაოდენი პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა მაინცა ჰქონოდათ, შესაძლებელია, ახლანდელი საგეოგრაფიო რუკა კავკასიისა სრულიად სხვა ყოფილიყო. ვინაიდან ისტორიული ფაქტები საკმაო მიზეზს არ იძლევიან ამ ორ მეზობელ ერთა ეკკლესიების ესოდენ განხეთქილებისას.

შეიძლება ისტორიულმა გამოკვლევამ და ახალ მასალების აღმოჩენამ შემდეგში უარ ჰყოს ასეთი ჩვენი მოსაზრება—შეიძლება მართლაც აუცილებელი იყო ამ ორი ეკკლესიის განშორება და სხვა და სხვა გზით სიარული, მაგრამ, ვიმეორებ, დღეს კი, ჯერ-ჯერობით არავითარი მტკიცე საბუთი არა გვაქვს გადაჭრით ვსთქვათ რომ ეს განხეთქილება გამოწვეული იყოს დოღმატიურისა, ადმინისტრაციულისა და პოლიტიკურ პირობებისა გამო.

კარგა ხანია თურმე, რი მამა აკინიანი მუშაობს ამ შრომაზე, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო და უმთავრესად კი საქართველოს ეკკლესიის საისტორიო მასალების სიცოტავისა გამო, ამ შრომის დროზედ გამოქვეყნება დაჰგვიანებია.

ავტორი ამ გამოკვლევის დასრულებულად არა სთვლის და სთხოვს ყველა მეისტორიეთ და ნამეტნავად ქართველ მეცნიერებს მაშალა მიაწოდონ ამ საკითხის უფრო ყოველ მხრივ შესასწავლად.

საინტერესოა, რა აზრისანი არიან ქართველი მეისტორენი ამ საკითხის შესახებ.

**Artemins**

## განცხადებანი

**ექიმი** ე. ხ. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—186

**დოქტ. ნავასარდიანისა**
უოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**უ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ბეეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგან. და საბავშვო.
**ბ. გ. ბგასაროვი:** $1^1/_2$—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**საღამოთი:**

**ქალ. ექ. პ ს. ზილბერმანი:** 5—6 ს საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
**ო ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—$6^1/_2$ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

გამოვიდა და იყიდება ქ. შ. წ. კით. გამ. საზოგადოების და სხ
**✦ წიგნის მაღაზიებში ✦**
**დუტუ მეგრელისა**
**ნაწერები**
I წიგნი ლექსები . . 70 კაპ.
II წიგნი მოთხრობები . 70 კაპ.
ხელის-მომწერლებმა, რომელთაც ხელი მოაწერეს გაზეთ „დროების" რედაქციაში, და მეორე წიგნი ჯერ არ მიუღიათ, უნდა მიმართონ დასახელებულ წიგნის მაღაზიაში ბ. ივანე ავალიშვილს, ან პირადად ან ფოსტით ღია ბარათით ამ ადრესით:
Тифлисъ. Дворцовая, домъ Дворянства, книжный магазинъ общества грамотности, И. Авалишвили.
(10—დ.ე.—6)

**იმღერე ქირით**
კარგად მოწყობილი სავაჭრო მაღაზიები, დაზგებით და ყაფაზებით, მსურველს შეუძლიან ორი, ან სამი ერთად დაიქირაოს, შეუძლიან ფურნეც გააკეთოს. ფასის გაგება შეიძლება იქვე: დიდუბისა და შერემეტევის ქუჩების კუთხე **ბაქრაძესთან.**
(5—71—3)

ვ. ყიფიანის დრამა
**სამეგრელოს მთავარი ლევან**
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა.
**ფასი ორი აბაზი**
იყიდება „სახ. გაზ." რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი
**„ნაკადული"**
(წელიწადი მეოქვსე)
1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის-მომწერლებს:
**24** წიგნი მცირე წლოვანთათ **12** წიგნი მოზრდილთათვის.
გარდა ამისა მიეცემა პრემიად ხაბავ შვო უნივერსიტეტი (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის) 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი"—ზღაპარი ევალდისა; 2. „მარჯნები".—ზღაპარი ევალდისა: 3. „თღრმეტი"—და ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ახლები კუბიკებზე.
**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; **საზღვარ-გარედ:** წლიურად —შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.
ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის" რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთა ქარვასლაში).

**დასურათებული ასაწყობი ანბანი კუბიკებზე**
**„ნაკადულის" პრემია).**
შემუშავებული ცალკე კომისიის მიერ პედაგოგებისაგან, მოკლე ხანში დამზადდება და დაურიგდება პრემიად „ნაკადულის" წლიურ ხელის-მომწერთა რადგანაც ამგვარი ანბანის მოთხოვნილება ქართულ ოჯახებში დიდია, ამიტომ რედაქციას სურვილი აქვს დახმარება გაუწიოს საზოგადოებას და დაუთმოს მსურველთ, არა ხელის-მომწერთ, ეხლავე დაიკვეთონ, რადგანაც რედაქცია გასასყიდად დასურათებულ ანბანს კუბიკებზე ვერ დაამზადებს. დაკვეთა 20 ენკენისთვემდე. ღირება გაუგზავნელად 1 მანეთი. (6—უ.—6)

**საბუღალტერო კურსები**
ტფილისი, სანაპირო ქუჩა, ვერის ხიდთან № 19.
**ი. ფონ-ბრენნერისა,**
(სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტისაგან და ფინანსთა სამინისტროს სასწავლო განყოფილებისაგან ყველა საკომერციო სასწავლებელში სახმარებლად მოწონებულ სახელმძღვანელოების ავტორისა).
კლასსები დაარსებულია 1890 წ. და ცნობილია სამოსწავლო მთავრობის მიერ.
კლასები ამლევენ სპეციალურ საკომერციო მომზადებას **ორივ სქესის პირთ,** ვისაც ჰსურს მიიღოს ადგილი ბუღჰალტერის, კორესპონდენტის, ანგარიშთა მწარმოებლის აგენტისა და სხვა.
კლასსებში ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) **ბუღჰალტერიას** (ორმაგი, იტალიური) და სხვა სისტემები, საგანგებო ანგარიშების წარმოება; საბანკო, საფაბრიკო, საქალაქო და საერობო საბჭოების, ... საქარხნო, ... სამეურნეო და სხვა სწავლება დაყენებულია პრაქტიკულად და ... პირველ გაკვეთილიდანვე ეჩვევიან საკუთარ წიგნებს 2) **კ...** — საბანკო, საქონლისა, ... და სხვა ანგარიშებისა. 3) **კომერციული კორესპონდენციას**— კომერციულ წერილების ... საბუღჰალტრო სწავლის, ... არითმეტიკის და ... კანონების მიხედვით. 4) **კალიგრაფია**— ... ხელის გასწორებას სხვა და სხვა ხასიათის ... შესწავლას: 5) **კანონმდებლობას**—საექსპლოდ, საგერბო, სამრეწველო, საკრედიტო და სხვა ... შესწავლას. 6) **საწერ მანქანებზე წერას;** მოსწავლეთა განკარგულებაში იმყოფება 10 სხვა და სხვა სისტემის მანქანა, რომლებზედაც თავისუფალ დროს შეუძლიანთ თავისი სამუშაო გააკეთონ ამასთანავე ტექნიკოსის ზედამხედველობით შეისწავლონ ტექნიკა და მანქანების მექანიზმი 7) **საქონლის ცნობა,**—გაეცნობ მოწაფეებს ადგილობრივ ბაზრის უმთავრეს საქონლის ... და იმის თვისებათა გამორკვევას. ამ მიზნისთვის კლასსებს საგანგებო კაბინეტი აქვს მოწყობილი. 8) **ანგარიში ჩოთქზე**—არითმეტიკულ და ალგებრაულ ამოცანების კეთებას. განმარტებული და ამერიკული წესები, ყველა არითმეტიკული მოქმედებანი და ამოცანების კეთება მთელის კურსის განმავლობაში ... მოსწავლეთა საერთო და საგანგებო განკითხვისთვის მოწყობილია ბიბლიოთეკა საუკეთესო სახელმძღვანელოებით სასწავლო საგნების ლიტერატურიდან. მოსწავლეებს წიგნები შინ წასაღებადაც ეძლევათ.
კლასსებში კურს დამთავრებულთ უსასყიდლოდ შეუძლიათ იქონიონ **პრაქტიკა** ი. ფონ ბრენნერის საბუღალტრო და სავაჭრო—სამრეწველო ... კანტორაში, რაც, უეჭველია, დიდად სასარგებლოა მოსწავლეებისათვის.
კლასები შესდგება სამის განყოფილებისაგან: 1 განყოფილებაში მიიღებიან წერა-კითხვის მცოდნენი, 2 ში—საქალაქო ან საკლასიან სასწავლებელში კურს დასრულებულნი. და მე-3 ში—ბუღალტერიის და კომერციულ არითმეტიკის პრაქტიკული მცოდნენი. დასაწყისი სწავლის 15 სექტ. თხოვნები მიიღება და ცნობები მიიცემა კლასსების კანცელარიაში, ტფილისში, სანაპირო ქუჩაზე, ვერის ხიდთან, საკუთარ სახლში N 19 ან სერგიევის ქუჩაზე N 4. კანცელარია ღიაა ყოველ-დღედილის 9 ს 1—ამდე და საღამოს 5—დან 8 საათამდე. ტელეფონი N 929 და 1044
(20—ბუხ—11)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
**კომერციულ ცოდნათა კურსები**
**ტ. მ. ფილოიანისა**
(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4).
**სპეციალური კომერციული განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის. კურსის დამთავრებია შემდეგ მოწმობას ეძლევათ ატესტატი.**
... Pitman-ის სასწავლებლებში (ლონდონში) და **პიგიერის მუსტარ-ლოტრიეში** (პარიზში). მასალა რეალურ ცხოვრებიდან აიღება. საგნები: ა) სავალდებ. 1. ბუხჰალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, საბანკო და საფაბრიკო საქარხნო). 2. კომერციული არითმეტიკა. 3. პოლიტიკური ეკონომია. 4. კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5. კომერციული კორესპონდენცია. 6. არითმეტიკა ჩოთქზე. 7. კალიგრაფია, სწორი წერა (ხელის გასწორება). ბ) არა სავალდებულო: 1. **უცხო ენები.** 2. ტენოგრაფია. 3. დაკტილოგრაფია (რემინგტონი და სხვ.) და 4. კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე. მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე ინდივიდუალურად.
**კურსების ლექტორები არიან სპეციალისტები უმაღლეს განათლებით.**
თხოვნები მიიღება 10—12 ს. დილით და 4—7 ს. საღამ. სწავლა იწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან.
კურსების დირექტორი **ტ. ფილოიანი.**

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
**საბუღალტერო კურსები**
**ნ. ვ. აბრამიანისა.**
ავტორი „ვაჭრობ ფაბრ. და ნავთის წარ. ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოსი", რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სასწავლო განყოფილებ., როგორც სახელმძღვანელო კომერციულ სასწავლებელთათვის,
**✦ ასწავლიან და ამზადებენ ორივე სქესის პირთ. ✦**
უკანასკნელ გაუმჯობესებულ მეთოდით ოთხი თვის განმავლობაში სხვა და სხვა სისტემის ბუხჰალტერიას და საკომერციო სპეციალურ საგნებს. გარდა არსებულ საგანთა სწავლებისა, კურსებზე ასწავლიან უცხო ენებს, სტენოგრაფიას და რექინგტონს (სავალდებულო არაა).
**კურსების მასწავლებლად უმაღლეს სასწავლებელში კურსდამთავრებულნი და თავიანთ საგნის სპეციალისტები არიან.**
სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს 1910 წ. პერიოდულად ყოველ 4 თვეში ნასადილევს თხოვნები მიიღება ყოველ დღე საღამოს 3—7 საათ. და დილის 9—12 საათამდე. კურსის მსრულების შემდეგ ეძლევა ატესტატი ფინანსთა მინისტრის ნებართვით
ამას გარდა კურსებთან ცალკე გახსნილია საგანგებო რუსულ ენისა და არითმეტიკის მოსამზადებელი კურსები ნაკლებად მომზადებულთათვის.
წესდება და პროგრამები ეგზავნება მსურველს უფასოდ. მსურველმა უნდა მიმართოს წერილობით თუ პირადად კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, N 22, ტელეფონი 714.
ზემოდ დასახელებული სახელმძღვანელო იყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. ვინც პირდაპირ ავტორისაგან გამოიწერს—გასაგზავნ ფულს არ იხდის. ფასი თითო ცალისა 3 მ. 50 კ. (0—დ.—21)

სტამბა „ხინათლე" რუსის ქუჩა № 3

რედაქტორ-გამომცემელი **იროდიონ სონღულაშვილი.**